ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში

უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაცია

წინასიტყვაობა

2003 წლის 19 სექტემბრის ბერლინის კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ბოლონიის პროცესის ხელმომწერი ქვეყნების მინისტრებმა მოიწვიეს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელის (ENQA) წევრები, რომლებსაც EUA-ს, EURASHE-ს და ESIB-ის წევრებთან ერთად დაევალათ ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების, პროცედურებისა და სახელმძღვანელო პრინციპების ერთმანეთთან შეთანხმებული კრებულის შემუშავება და ხარისხის უზრუნველყოფისა და სააკრედიტაციო სტრუქტურებისათვის ადეკვატური შეფასების სისტემის შექმნის გზების დადგენა. ზემოთაღნიშნულ ორგანიზაციებს აგრეთვე დაევალათ 2005 წელს ბოლონიის ხელმომწერი ქვეყნების მინისტრების წინაშე ანგარიშგება ბოლონიის განვითარების ჯგუფის (follow-up group) საშუალებით. მინისტრებმა აგრეთვე მოსთხოვეს ENQA-ს, რომ გაეთვალისწინებინა აგრეთვე ხარისხის უზრუნველყოფის სხვა ასოციაციებისა და ქსელური ორგანიზაციების გამოცდილება.

წინამდებარე დოკუმენტი შეიქმნა აღნიშნული დავალების საპასუხოდ და ხელმოწერილია კომუნიკეში ყველა მოხსენიებული ორგანიზაციების მიერ. მათ შორის ურთიერთგაგება შედეგია თანამშრომლობის იმ სულისკვეთებისა, რომელიც ახასიათებდა პროექტში ჩართულ ყველა მონაწილეს შორის გამართულ დისკუსიებს. სწორედ ამიტომ, მსურს მადლობა გადავუხადო EUA-ს, EURASH-ს და ESIB-ს ENQA-ს წევრებთან ერთად სამუშაო პროცესში მათ მიერ შეტანილი უაღრესად ღირებული და კონსტრუქციული წვლილისათვის.

*წინამდებარე **კრებული გაეგზავნა ევროპის განათლების მინისტრებს. ჩვენ ველოდებით, რომ იგი** ხელმისაწვდომი გახდება ასევე უფრო ფართო წრეებისათვის, რომელნიც დაინტერესებულნი არიან უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფით და ვიმედოვნებთ, რომ ეს კრებული მათთვის სასარგებლო იქნება.*

უნდა აღინიშნოს, რომ კრებული არის მხოლოდ პირველი ნაბიჯი გადადგმული ევროპის უმაღლესი განათლების სფეროს ინსტიტუტებისა და სააგენტოების მიერ ხარისხის უზრუნველყოფის ფართოდ გაზიარებული ღირებულებებისა და პრინციპების, საუკეთესი გამოცდილების გრძელ და რთულ გზაზე დასამკვიდრებლად. ის რაც ბერლინის მანდატით იქნა ინიცირებული, მომავალში უნდა დაიხვეწოს და განვითარდეს, იმისათვის, რომ ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში შეიქმნას ხარისხის უზრუნველყოფის სრულყოფილად მოქმედი ევროპული განზომილება. თუ კი ეს შესრულდება, აგრეთვე ბოლონიის პროცესის სხვა მრავალი ამბიციის განხორციელებაც გახდება შესაძლებელი. ამ ნაშრომის ყველა მონაწილე მოელის, რომ მათი მცდელობა წარმატებით დასრულდება.

კრისტიან თიუნი
ENQA-ს პრეზიდენტი
2005 წლის თებერვალი

სარჩევი

მოკლე შინაარსი 4

1. კონტექსტი, მიზნები და პრინციპები 7
2. ევროპული სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები 8

სტანდარტების და სახელმძღვანელო პრინციპების პრეისტორია 8

I და II ნაწილების შესავალი: ევროპული სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები უმაღლესი განათლების ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფისთვის 9

ნაწილი I : ევროპული სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ხარისხის შიდა უზრუნველყოფისთვის უმაღლესი განათლების ინსტიტუტებში 11

ნაწილი II: ევროპული სტანდარტები და სახლმძღვანელო პრინციპები უმაღლესი განათლების ხარისხის გარე უზრუნველყოფისთვის 14

III ნაწილის შესავალი: ევროპული სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ხარისხის გარე უზრუნველყოფის სააგენტოებისათვის 17

ნაწილი III: ევროპული სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ხარისხის უზრუნველყოფის გარე სააგენტოებისათვის 17

3. შემოწმების სისტემა ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებისათვის 20

საერთაშორისო კონტექსტი 20

სააგენტოების ციკლიური შემოწმება 21

ევროპაში მოქმედი ხარისხის გარე უზრუნველყოფის სააგენტოების რეესტრი 22

უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული საკონსულტაციო ფორუმი 24

4. პერსპექტივები და გამოწვევები 25

დანართი: ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ციკლიური შემოწმება — თეორიული მოდელი 27

მოკლე შინაარსი

წინამდებარე კრებული მომზადდა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA)[4] წევრების მიერ, EUA, ESIB, და EURASHE-თან თანამშრომლობის, კონსულტაციებისა და სხვადასხვა შესაბამის ქსელურ ორგანიზაციებთან დისკუსიების შედეგად. კრებული პასუხობს იმ მანდატის შესრულებას, რომელიც ENQA-ს 2003 წლის ბერლინის კომუნიკეთი დაევალა, რაც გულისხმობს 'ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების, პროცედურებისა და სახელმძღვანელო პრინციპების ერთმანეთთან შეთანხმებული კრებულის შემუშავებას და ხარისხის უზრუნველყოფისა და სააკრედიტაციო სტრუქტურებისათვის ადეკვატური შეფასების სისტემის შექმნის გზების გამორკვევას'.

კრებული შედგება 4 ნაწილისგან. შესავალ ნაწილს, რომელიც ეძღვნება წინაპირობების, მიზნებისა და პრინციპების ასახვას, მოსდევს თავები ხარისხის უზრუნველყოფის[5] სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების, ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების შეფასების სისტემისა და აგრეთვე პერპექტივებისა და გამოწვევების შესახებ.

კრებულის ძირითადი შედეგები და რეკომენდაციებია:

- ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფისთვის და ხარისხის გარე უზრუნველყოფის სააგენტოებისთვის შემუშავდება ევროპული სტანდარტები;
- ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულმა სააგენტოებმა ხუთი წლის განმავლობაში უნდა გაიარონ ციკლიური შემოწმება;
- შეიქმნება ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული სააგენტოების რეესტრი;
- ევროპული სარეგისტრაციო კომიტეტი განსაზღვრავს ამა თუ იმ სააგენტოს რეესტრში ჩართვის საკითხს;
- დაფუძნდება უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული საკონსულტაციო ფორუმი.

როდესაც რეკომენდაციები შესრულდება:

- შეთანხმებული სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების გამოყენების შედეგად გაუმჯობესდება ხარისხის უზრუნველყოფის შესაბამისობა და მდგრადობა ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში;
- ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში მოღვაწე უმაღლესი განათლების ინსტიტუტებსა და ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებს შესაძლებლობა მიეცემათ საერთო ორიენტირები გამოიყენონ ხარისხის უზრუნველსაყოფად;
- რეესტრი გააადვილებს კვალიფიციური და სანდო სააგენტოების გამოვლენას;
- გაძლიერდება კვალიფიკაციათა ცნობის პროცედურები;
- ამაღლდება ნდობა ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების მიერ გაწეული მუშაობის მიმართ;
- სააგენტოებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს (უმაღლესი სასწავლებლები, სტუდენტები, დასაქმების ბაზრის წარმომადგენლები) შორის გამოცდილებისა და შეხედულებების ურთიერთგაზიარებას თავისი მუშაობით გაამყარებს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული საკონსულტაციო ფორუმი;
- გაიზრდება ურთიერთნდობა ინსტიტუტებსა და სააგენტოებს შორის;
- მხარდაჭერილი იქნება ურთიერთ-აღიარებისადმი სწრაფვა.

ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული სტანდარტების მოკლე აღწერილობა

უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული სტანდარტების ეს მოკლე აღწერილობა აღმოცენებულია წარმოდგენილი კრებულის მე-2 ნაწილიდან და ამ ადგილას ადვილად ორიენტაციის მიზნითაა მოქცეული. იგი არ მოიცავს სახელმძღვანელო პრინციპებს. სამ ნაწილად აღწერილი სტანდარტები მოიცავენ უმაღლესი განათლების ინსტიტუტების ხარისხის შიდა უზრუნველყოფას, უმაღლესი განათლების ხარისხის გარე უზრუნველყოფას და თავად ხარისხის გარე უზრუნველყოფის სააგენტოების ხარისხის უზრუნველყოფას.

[4] 2004 წლის 4 ნოემბერს ENQA-ს გენერალურმა ასამბლეამ დაადასტურა ყოფილი ევროპული ქსელის ჩანაცვლება ევროპული ასოციაციით
[5] წინამდებარე ანგარიშში მოყვანილი "ხარისხის უზრუნველყოფის" ტერმინი მოიცავს ისეთ პროცესებს, როგორიცაა შეფასება, აკრედიტაცია და აუდიტი

ნაწილი 1

უმაღლესი განათლების ინსტიტუტების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის ევროპული სტანდარტები და სახლმძღვანელო პრინციპები

1.1 **ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგია და პროცედურები:** ინსტიტუტებს უნდა გააჩნდეთ სტრატეგია და შესაბამისი პროცედურები, იმისათვის რომ უზრუნველყოფილი იყოს მათი პროგრამებისა და დიპლომების ხარისხი და სტანდარტი. ინსტიტუტებმა თავიანთი თავი სრულად უნდა მიუძღვნან იმ კულტურის განვითარებას, რომელიც აღიარებს ხარისხის და ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელობას მათ მუშაობაში. ამის მისაღწევად ინსტიტუტებმა უნდა შეიმუშავონ და განახორციელონ ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების სტრატეგია. სტრატეგიას, პოლიტიკასა და პროცედურებს უნდა გააჩნდეთ ოფიცილაური სტატუსი და უნდა იყოს საჯარო. ისინი აგრეთვე უნდა მოიცავდნენ სტუდენტებისა და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობას.

1.2 **პროგრამებისა და დიპლომების დამტკიცება, მონიტორინგი და პერიოდული შემოწმება:** ინსტიტუტებს უნა გააჩნდეთ ოფიცილაური მექანიზმები თავიანთი პროგრამებისა და დიპლომების დასამტკიცებლად, პერიოდული შემოწმებისა და მონიტორინგის ჩასატარებლად.

1.3 **სტუდენტთა შეფასება:** სტუდენტები უნდა შეფასდნენ იმ საჯარო კრიტერიუმების, წესებისა და პროცედურების თანახმად, რომლებიც თანმიმდევრულად იქნება გამოყენებული.

1.4 **მასწავლებელთა ხარისხის უზრუნველყოფა:** ინსტიტუტებს უნდა გააჩნდეთ გზები და საშუალებები, რომლებიც მათ დააკმაყოფილებთ კვალიფიციური მასწავლებლებით, და გარანტიას შეუქმნით, რომ ინსტიტუტების მიერ შერჩეული მასწავლებლები იქნებიან კომპეტენტურნი და კვალიფიცირებულნი. შესაძლებელი უნდა იყოს მასწავლებელის შემმოწმებელთან ურთიერთობა, რაც შემდგომში შემოწმების ანგარიშში აისახება.

1.5 **სასწავლო რესურსები და სტუდენტთა მხარდაჭერა:** ინსტიტუტებმა უნდა უზრუნველყონ სტუდენტთა სწავლების დამხმარე რესურსების ადექვატურობა და თითოეულ კონკრეტულ პროგრამასთან შესაბამისობა.

1.6 **საინფორმაციო სისტემები:** პროგრამების ეფექტური მენეჯმენტისა და სხვა საქმიანობებისათვის ინსტიტუტებმა უნდა უზრუნველყონ შესაბამისი ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი და მისი გამოყენება.

1.7 **ინფორმაციის საჯაროობა:** ინსტიტუტებმა რეგულარულად უნდა გამოაქვეყნონ განახლებული, მიუკერძოებელი და ობიექტური ინფორმაცია, როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი იმ პროგრამებისა და დიპლომების შესახებ, რომლებსაც თავაზობენ.

ნაწილი 2

უმაღლესი განათლების ხარისხის გარე უზრუნველყოფის ევროპული სტანდარტები

2.1 **ხარისხის უზრუნველყოფის შიდა პროცედურების გამოყენება:** ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცედურები უნდა ითვალისწინებდეს წინამდებარე დოკუმენტის პირველ ნაწილში ასახული ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცედურების ეფექტურობას.

2.2 **ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცესების შემუშავება:** ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების მიზნები და ამოცანები უნდა განისაზღვროს თავად პასუხისმგებელი სტუქტურის (უმაღლესი სასწავლებლების ჩათვლით) მიერ იქამდე, ვიდრე საკუთრივ ეს პროცესები განვითარდებიან, და უნდა გამოქვეყნდნენ გამოყენებული პროცედურების აღწერილობასთან ერთად.

2.3 **გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმები:** ნებისმიერი ოფიციალური გადაწყვეტილება, რომელიც ხარისხის გარე უზრუნველყოფის საქმიანობის შედეგად მიიღება , უნდა ეყრდნობოდეს იმ საჯარო კრიტერიუმებს, რომლებიც თანმიმდევრულად გამოიყენება.

2.4 **პროცესების მიზანმიმართულება:** ხარისხის გარე უზრუნველყოფის ყველა პროცესი უნდა შემუშავდეს საგანგებოდ, ისე რომ უზრუნველყოფილი იქნეს ამ პროცესების მიზნებისა და ამოცანების მიღწევის შესაბამისობა.

2.5 **ანგარიშგება:** ანგარიშები უნდა გამოქვეყნდეს და დაწერილი უნდა იყოს ისეთ სტილში, რომელიც გასაგები და მისაწვდომი იქნება მიზნობრივი მკითხველისთვის. წამკითხველმა ადვილად უნდა შეძლოს ანგარიშში ასახული ნებისმიერი გადაწყვეტილების, რეკომენდაციისა თუ მითითების მიგნება.

2.6 **მომდევნო ეტაპის პროცედურები:** ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებს, რომლებიც სამოქმედო რეკომენდაციებს ან სამოქმედო გეგმას შეიცავენ, უნდა ახლდეს წინასწარ განსაზღვრული შემდგომი, განვითარების პროცედურები, რომლებიც თანმიმდევრულად განხორციელდება.

2.7 **პერიოდული შემოწმება:** ინსტიტუტებისა და პროგრამების ხარისხის გარე უზრუნველყოფა უნდა ჩატარდეს ციკლიურად. თითო ციკლის ხანგრძლიობა და შემოწმების პროცედურები წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული და გამოქვეყნებული.

2.8 **სისტემური ანალიზი:** ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოები დროდადრო უნდა აწარმოებდნენ მოკლე, შემაჯამებელ ანგარიშს, რომელიც აღწერს და ანალიზს გაუკეთებს შემოწმებისა და შეფასებების შედეგებს.

ნაწილი 3 ხარისხის გარე უზრუნველყოფის სააგენტოებისთვის დადგენილი ევროპული სტანდარტები

3.1 **ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცედურების გამოყენება უმაღლესი განათლებისთვის:** სააგენტოების ხარისხის გარე უზრუნველყოფა უნდა ითვალისწინებდეს, თუ რამდენად ეფექტურია ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცედურები, რომლებიც წინამდებარე დოკუმენტის მეორე ნაწილშია წარმოდგენილი.

3.2 **ოფიციალური სტატუსი:** სააგენტოები, როგორც პასუხისმგებელნი ხარისხის გარე უზრუნველყოფაზე, ოფიციალურად უნდა იყვნენ აღიარებულნი და იურიდიულად დაფუძნებულნი, ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის კომპეტენტური სახელმწიფო სახელისუფლებო ორგანოების მიერ. სააგენტოები უნდა აკმაყოფილებდნენ იმ სამართლებრივ მოთხოვნებს, რომლის ჩარჩოებშიც მოღვაწეობენ.

3.3 **საქმიანობა/ღონისძიებები:** სააგენტოები რეგულარულად უნდა ასრულებდნენ ხარისხის გარე უზრუნველყოფის ღონისძიებებს.

3.4 **რესურსები:** სააგენტოებს უნა გააჩნდეთ ადეკვატური, როგორც ფინანსები, ასევე ადამიანური რესურსები, რომლებიც მათ საშუალებას მიცემთ ეფექტურად და შედეგიანად აწარმოონ ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცესები

3.5 **მისიის შესახებ განაცხადი:** სააგენტოებს უნდა გააჩნდეთ საკუთარი მუშაობის მკაფიო და გარკვეული მიზნები და ამოცანები, რომლებიც საჯაროდ იქნებიან განცხადებულნი.

3.6 **დამოუკიდებლობა:** სააგენტოები უნდა იყვნენ დამოუკიდებელნი, როგორც საკუთარი ფუნქციების ავტონომიურად განხორციელების თვალსაზრისით, ასევე მათ მიერ შემუშავებულ ანგარიშებსა და რეკომენდაციებში მესამე მხარის (უმაღლესი სასწავლებელი, სამინისტროები, სხვა დაინტერესებული მხარეები) ჩაურევლობის მხრივაც.

3.7 **სააგენტოების მიერ გამოყენებული ხარისხის გარე უზრუნველყოფის კრიტერიუმები და პროცესები:** სააგენტოების მიერ გამოყენებული პროცესები, კრიტერიუმები და პროცედურები წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული და საჯარო. როგორც წესი ეს პროცესები უნდა მოიცავდეს შემდეგ ასპექტებს:

- ხარისხის უნზრუნველყოფის პროცესის სუბიექტის მიერ თვით-შეფასების, ან ანალოგიური პროცედურების ჩატარება;
- გარე შეფასება ექსპერტთა ჯგუფის მიერ, სტუდენტების წარმომადგენლის ჩათვლით, და სამუშაო ადგილზე ვიზიტი სააგენტოს გადაწყვეტილების შესაბამისად;
- ანგარიშის გამოქვეყნება ყველა გადაწყვეტილების, რეკომენდაციებისა და სხვა ოფიციალური შედეგების ჩათვლით;
- ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის სუბიექტის მიერ ანგარიშით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესაბამისად ჩატარებული საქმიანობის მომდევნო საკონტროლო პროცედურების განსაზღვრა.

3.8. **ანგარიშვალდებულების პროცედურები:** სააგენტოებმა უნდა შეიმუშავონ საკუთარი ვალდებულებებისა და ანგარიშგების პროცედურები.

1. კონტექსტი, მიზნები და პრინციპები

2003 წლის 19 სექტემბრის ბერლინის კომუნიკეში აღნიშნულია, რომ 'ბოლონიის პროცესის ხელმომწერი ქვეყნების მინისტრებმა მოიწვიეს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელის (ENQA) წევრები, რომლებსაც EUA, EURASHE-ს და ESIB-ის წევრებთან ერთად, დაევალათ ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების, პროცედურებისა და სახელმძღვანელო პრინციპების ერთმანეთთან შეთანხმებული კრებულის შემუშავება და ხარისხის უზრუნველყოფისა და სააკრედიტაციო სტრუქტურებისათვის ადეკვატური შემოწმების,კონტროლის სისტემის შექმნის უზრუნველყოფა'. ზემოთაღნიშნულ ორგანიზაციებს აგრეთვე დაევალათ 2005 წელს ბოლონიის ხელმომწერი ქვეყნების მინისტრების წინაშე ანგარიშგება ბოლონიის პროცესის განვითარების ჯგუფის (follow-up group) საშუალებით. მინისტრებმა, აგრეთვე მოსთხოვეს ENQA-ს, რომ გაეთვალისწინებინა ხარისხის უზრუნველყოფის სხვა ასოციაციებისა და ქსელური ორგანიზაციების გამოცდილებაც.

ENQA მიესალმა ზემოთ აღნიშნულ შეთავაზებას – უდიდესი წვლილი შეეტანა ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ განზომილებაში. ამ საკითხზე მუშაობამ სხვადასხვა ორგანიზაციები და დაინტერესებული ჯგუფები მოიცვა. პირველ რიგში, ENQA-ს წევრები იყვნენ აქტიურად ჩაბმული პროცესში. ისინი მონაწილეობდნენ სამუშაო ჯგუფებში და მათ მიერ წარმოდგენილი ანგარიშის პროექტები განხილული იქნა ENQA-ს გენერალურ ასამბლეაზე 2004 წლის ივნისსა და ნოემბერში. მეორე რიგში, ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაცია (EUA), ევროპის უმაღლესი განათლების ინსტიტუტების ასოციაცია (EARASHE), ევროპის სტუდენტთა ნაციონალური კავშირები (ESIB) და ევროკომისია მონაწილეობას იღებდნენ 'E4' ჯგუფის რეგულარულ შეხვედრებში. და მესამეც, განსაკუთრებით ღირებულია სხვადასხვა ქსელური ორგანიზაციების, როგორიცაა "აკრედიტაციის ევროპული კონსორციუმი" (ECA), ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ქსელი (CEE Network), მიერ გაღებული წვლილი და მათთან კონტაქტი. და ბოლოს, ENQA-მ და მისმა პარტნიორებმა გამოიყენეს რა თავიანთი ინდივიდუალური საერთაშორისო კონტაქტები და პრაქტიკა, შესაბამისი საერთაშორისო პერსპექტივების გარანტიები შექმნეს.

უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფა არავითარ შემთხვევაში არ არის მხოლოდ ევროპის საზრუნავი. მთელს დანარჩენ სამყაროში არსებობს მზარდი ინტერესი იმ ხარისხისა და სტანდარტების მიმართ, რომელიც ასახავს უმაღლესი განათლების სწრაფ ზრდას და მის ფასს სახელმწიფო და კერძო ხაზინაში. შესაბამისად, თუკი ევროპის მიზანია, რომ მსოფლიოში ყველაზე დინამიური და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა (ლისაბონის სტრატეგია) ქონდეს, ევროპის უმაღლესმა განათლებამ უნდა დაგვანახოს, რომ მისთვის მეტად სერიოზული საკითხია პროგრამების ხარისხი, და რომ მას სურს და იზრუნებს ამ ხარისხის უზრუნველყოფის საშუალებების შექმნისა და წარმოჩენისათვის. პასუხი უნდა გაეცეს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებულ ინიციატივებსა და მოთხოვნებს, რომლებიც, როგორც ევროპის შიგნიდან, ასევე მის გარედანაც გამომდინარეობს.

წინამდებარე კრებულით წარმოდგენილი წინადადებები ეყრდნობა რამდენიმე პრინციპს, რომელიც შემდეგ ორ თავშია აღწერილი და რომელიც 'ბერლინის მანდატის' ორ ნაწილს მოიცავს. თუმცა, ზოგიერთი ფუნდამენტური პრინციპი მთელს სამუშაოს უნდა გასდევდეს წითელ ზოლად:

- სტუდენტთა, დამსაქმებელთა და საზოგადოების ინტერესი უმაღლესი განათლების კარგი ხარისხის მიმართ;
- ინსტიტუტების ავტონომიურობის მნიშვნელობა და გაცნობიერება იმისა, თუ რამდენად მძიმე პასუხისმგებლობის მატარებელია ავტონომიურობა;
- ხარისხის გარე უზრუნველყოფის საჭიროება, რომელიც თავის დანიშნულებას ამართლებს, და რომელიც ინსტიტუტებს მხოლოდ შესაფერის და აუცილებელ ვალდებულებას დააკისრებს მათი ამოცანებისა და მიზნების მისაღწევად.

ევროპის უმაღლესი განათლების ასოციაცია თავისი 40 ქვეყნით ხასიათდება პოლიტიკური სისტემების, უმაღლესი განათლების სისტემების, სოციო-კულტურული და საგანმანათლებლო ტრადიციების, ენების, მისწრაფებებისა და მოლოდინების მრავალფეროვნებით. ამის გამო, უმაღლეს განათლებაში ხარისხის, სტანდარტებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიმართ ერთიანი, მონოლითური მიდგომა შეუფერებელი და უვარგისია. აღნიშნული მრავალფეროვნებისა და განსხვავებულობის ჭრილში, რაც ზოგადად ევროპის სიდიადედ აღიქმება, წინამდებარე კრებული წარმოდგენილია სტანდარტებისადმი ვიწრო, ინსტრუქციული ხასიათისა და მკაცრად განსაზღვრული მიდგომების საწინააღმდეგოდ. ორთავე, სტანდართებსა და სახელმძღვანელო პრინციპებში, კრებული უპირატესობას ანიჭებს ზოგად პრინციპებს კონკრეტული მოთხოვნების მიმართ. დოკუმენტის ავტორებს წამთ, რომ ამგვარი მიდგომა უფრო ფართედ იქნება მისაღები და მყარ საფუძველს შექმნის განსხვავებული უმაღლესი განათლების სისტემების გაერთიანებისთვის მთელს ევროპულ უმაღლესი განთლების სივრცეში. ზოგადი სტანდარტები რეზონანს უნდა პოულობდეს ნაციონალურ დონეზე ხელმომწერი ქვეყნების მხრიდან. თუმცა, ზოგადი პრინციპების ერთი შედეგი არის ის, რომ სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები კონცენტრირებულია არა იმაზე, თუ როგორ უნდა იქნეს მიღწეული მიზანი, არამედ იმაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს. ამგვარად, ეს კრებული მოიცავს პროცედურულ საკითხებს, მაგრამ პრიორიტეტს ანიჭებს სტანდარტებს და სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლებიც მეორე თავშია დაწვრილებით აღწერილი.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე კრებულზე შეთანხმების მიღწევა არ არის იგივე, რაც ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის განზომილების შექმნის, როგორც ბოლონიის მიზნის აღსრულება. წინ უფრო დიდი სამუშაოა ჩასატარებელი, რათა განხორციელდეს ამ კრებულით წარმოდგენილი რეკომენდაციები და უზრუნველყოფილი იქნეს 'ხარისხის კულტურა' უმაღლესი განათლების ინსტიტუტებსა და ხარისხის გარე უზრუნველყოფის სააგენტოებს შორის.

მინისტრების დავალებამ, რომელიც ითვალისწინებდა 'ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების, პროცედურებისა და სახელმძღვანელო პრინციპების კრებულის შემუშავებას' რამდენიმე მნიშვნელოვანი შეკითხვა წამორმოშვა. 'ხარისხის უზრუნველყოფა' არის ზოგადი ცნება უმაღლეს განათლებაში, რომელიც მრავალი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა. შეუძლებელია ერთი განსაზღვრების გამოყენება იმისთვის, რომ ყველა პირობა და მდგომარეობა ასახო. აგრეთვე, სიტყვა 'სტანდარტი' განსხვავებული მიმართულებით გამოიყენება ევროპაში, დაწყებული, როგორც ვიწროდ განსაზღვრული, მარეგულირებელი მოთხოვნა-განაცხადი, დამთავრებული როგორც საუკეთესო გამოცდილების, პრაქტიკის ზოგადი აღწერილობა. ასევე სიტყვებსაც მეტად განსხვავებული მნიშვნელობა აქვთ ეროვნული უმაღლესი განათლების სისტემების ლოკალურ კონტექსტში.

უფრო მეტიც, კრებულის შექმნის პროცესმა ცხადყო, რომ თავად ხარისხის უზრუნველყოფის სტრუქტურებშიც კი, არსებობს საკმაოდ ფუნდამენტურად განსხვავებული ხედვა იმისა, თუ როგორი ურთიერთკავშირი უნდა იყოს დამყარებული უმაღლესი განათლების ინსტიტუტებსა და მათ გარე შემფასებლებს შორის. ზოგიერთი, სახელდობრ სააგენტოებიდან, რომლებიც პროგრამების ან ინსტიუტუტების აკრედიტაციას ატარებენ, მიიჩნევს, რომ ხარისხის გარე შეფასება ძირითადად 'მომხმარებელთა უფლების დაცვის' საკითხია, და ითხოვს მკვეთრ დისტანცირებას ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოსა და უმაღლესი განათლების იმ ინსიტუტებს შორის, რომელთა მუშაობაც უნდა იყოს შესწავლილი და შეფასებული. ზოგი სააგენტო კი მიიჩნევს, რომ ხარისხის გარე უზრუნველყოფის მთავარი დანიშნულებაა რჩევებისა და ინსტრუქციების მიცემა სასწავლო პროგრამებისა და შესაბამისი კვალიფიკაციების სტანდარტისა და ხარისხის გასაუმჯობესებლად. უკანასკნელი პრეცენდენტის თანახმად, კი მოითხოვდნენ მჭიდრო ურთიერთობას შემფასებლებსა და შეფასებულებს შორის. ზოგიერთს სურს, დაიკავოს ისეთი პოზიცია, რომელიც აბალანსებს ანგარიშვალდებულებას და ხარისხის გაუმჯობესებას.

არამხოლოდ ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებს გააჩნიათ განსხვავებული ხედვა აღნიშნული საკითხის მიმართ, არამედ უმაღლესი განათლების ინსტიტუტებისა და სტუდნეტთა წარმომადგენლობითი სტრუქტურის ინტერესებიც არ არის ყოველთვის თანმხვედრი. უმაღლესი განათლების ინსტიტუტები ითხოვენ ავტონომიურობის მაღალ დონეს და მინიმალურ გარე წესებსა და გარე შეფასებას. სტუდენტთა წარმომადგენლობას კი სურს, რომ ინსტიტუტები საჯაროდ იყვნენ ანგარიშვალდებულნი და შემოწმებული იქნას მათი სასწავლო პროგრამები და კვალიფიკაციები.

და ბოლოს, სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები უკავშირდება ბოლონიის დეკლარაციით განსაზღვრულ უმაღლესი განათლების მხოლოდ სამ საფეხურს და მიზნად არ ისახავს მოიცვას კვლევები და ზოგადი ინსტიტუციური მენეჯმენტი.

სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების პრეისტორია

წინამბდებარე დოკუმენტის ქვემორე ნაწილი შეიცავს ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების კრებულს. აღნიშნული სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები შექმნილია იმგვარად, რომ მათი გამოყენება შეძლოს ევროპაში ყველა უმაღლესი განათლების ინსტიტუტმა და ხარისხის უზრუნველყოფის საგენტომ, მათი სტურქტურის, ფუნქციის, ზომისა და ადგილმდებარეობის (ქვეყანა) მიუხედავად. როგორც ადრე იყო აღნიშნული, ამ კრებულით წარმოდგენილ რეკომენდაციებში მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული დეტალური 'პროცედურების' ასახვა, რამდენადაც ინსტიტუციონალური და სააგენტოების პროცედურები მნიშვნელოვანი ელემენტია ამ სტრუქტურების ავტონომიურობისა. კრებულით წარმოდგენილი სტანდარტების ათვისებისთვის პროცედურების თანმიმდევრობის დადგენა თავად სააგენტოებისა და ინსტიტუტების პრეროგატივაა.

სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების ათვლის წერტილია ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის მიერ ხელმოწერილი 2003 წლის 'გრაცის დეკლარაცია', რომელიც აღიარებს, რომ "ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული განზომილების დანიშნულებაა ურთიერთ-ნდობის ხელშეწყობა და გამჭვირვალების გაუმჯობესება ნაციონალური კონტექსტისა და აკადემიური საგნების სივრცის მრავალფეროვნების ხელშეუხებლად". გრაცის დეკლარაციას ეხმიანება ამ კრებულით წარმოდგენილი სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც უმაღლეს განათლებაში ნაციონალური სისტემების უპირატესობას აღიარებენ, ინსტიტუტებისა და სააგენტოების ავტონომიურობას და განსხვავებული აკადემიური საგნების კონკრეტულ მოთხოვნებს. აგრეთვე, სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები დიდად დავალებულია ENQA-ს მიერ კოორდინირებული პილოტური "ტრანს-ნაციონალური ევროპული შეფასების პროექტი"-საგან, რომელმაც სამ დისციპლინაში გამოიკვლია ევროპის ხარისხის ტრანს-ნაციონალური შეფასების პროცესების შედეგები.

სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები აგრეთვე ითვალისწინებენ 'ხარისხის დაახლოების კვლევას', რომელიც ENQA-მ 2005 წლის მარტში გამოაქვეყნა, და, რომელმაც შეისწავლა მიზეზების სხვაობა სხვადასხვა ნაციონალოურ მიდგომებს შორის ხარისხის გარე უზრუნველყოფის მიმართ, და აგრეთვე ის მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიან ამ მიდგომების ერთმანეთთან დაახლოებას. შემდგომში, ბერლინის კომუნიკემ განაცხადა,

რომ ‘ინსტიტუციონალური ავტონომიის თანახმად, უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფაზე უპირატესობა ენიჭება თავად ცალკეულ ინსტიტუტს, რაც საფუძველია აკადემიური სისტემის ჭეშმარიტი ანგარიშვალდებულებისა ნაციონალური ხარისხის მიმართ. ჩაფიქრებულია, რომ წარმოდგენილი სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები აბალანსებდნენ როგორც ხარისხის შიდა კულტურის განვითარებას, ასევე ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცედურების მნიშვნელობას.

გარდა ამისა, სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების მიერ გამოყენებული იქნა აკრედიტაციის ევროპული კონსორციუმის მიერ 2004 წლის დეკემბერში გამოქვეყნებული ‘საუკეთესო გამოცდილების კოდექსი’ და სხვა ასპექტები, რომლებიც ასახულია ESIB-ის 2004 წლის აპრილში გამოქვეყნებულ დოკუმენტში: ”დადგენილება ევროპულ დონეზე შეთანხმებული სტანდარტების, პროცედურებისა და სახელმძღვანელო პრინციპების კრებულის შესახებ” და “დადგენილება ხარისხის უზრუნველყოფისა და სააკრედიტაციო სააგენტოების შემოწმების შესახებ”. EUA-ს “ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის პოზიცია” ბერლინის კომუნიკეს კონტექსტში (2004 წლის აპრილი) და EURASHE-ს ‘პროგრამული განაცხადი ბოლონიის პროცესზე’ (2004 წლის ივნისი). და ბოლოს, წინამდებარე კრებულით გათვალისწინებული იქნა ხარისხის გარე უზრუნველყოფის სტანდარტების „საუკეთესო გამოცდილების სახელმძღვანელო პრინციპებთან“ შედარება, რომელიც INQAAHE-ს საერთაშორისო ქსელის მიერ არის განხორციელებული.

I და II ნაწილების შესავალი:

უმაღლესი განათლების ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის ევროპული სტანდარტები

ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის ინსტიტუტებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებისთვის იქნა შემუშავებული და მოიცავენ ხარისხთან და სტანდარტებთან დაკავშირებულ ძირითად სფეროებს.

ამ სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების დანიშნულებაა დახმარების გაწევა და ინსტრუქციების მიწოდება, როგორც უმაღლესი განათლების ინსტიტუტებისათვის, რომლებიც შეიმუშავებენ საკუთრივ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემებს, ასევე — სააგენტოებისათვის, რომლებიც ახორციელებენ ხარისხის გარე უზრუნველყოფას. სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები აგრეთვე ხელს უწყობენ მოღვაწეობის ერთიანი კრიტერიუმების და სფეროს შექმნას, რომლებიც შესაძლოა ერთანაირად გამოიყენონ როგორც ინსტიტუტებმა, ასევე სააგენტოებმა. ეს დოკუმენტი მიზნად არ ისახავს, რომ აქ მოყვანილი სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები კარნახობდეს კონკრეტულ პრაქტიკას, ან მკაცრად, უცვლელი ინსტრუქციების ფორმით იყოს აღქმული.

ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის ზოგიერთ ქვეყნებში განათლების მინისტრებმა, ან შესაბამისმა ორგანიზაციებმა ვალდებულება აიღეს ზოგიერთ იმ სფეროზე, რომლებიც ასახულია ამ სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებში. იქ, სადაც ასეთი პრქატიკაა, მინისტრებმა და ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ ხარისხის უზრუნველყოფის შესაბამისი მექანიზმების ფუნქციონირება და დამოუკიდებელი შემოწმება.

ძირითადი პრინციპები:

სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები დაფუძნებულია ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში უმაღლესი განათლების ხარისხის შიდა და გარე უზრუნელყოფისთვის დადგენილ რამდენიმე საბაზისო პრინციპზე. ეს პრინციპებია:

- უმაღლესი განათლების მომწოდებლების უპირველესი ვალდებულებაა მათ მიერ მოწოდებული განათლების ხარისხი და მისი უზრუნველყოფა;
- საზოგადოების ინტერესი უმაღლესი განათლების ხარისხისა და სტანდარტების მიმართ უნდა იყოს გარანტირებული და დაზღვეული;
- აკადემიური პროგრამების ხარისხი უნდა იყოს განვითარებული და გაუმჯობესებული სტუდენტებისა და უმაღლესი განათლების სხვა მომხმარებლებისთვის ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში;
- საჭიროა ეფექტური და ქმედითი ორგანიზაციული სტრუქტურის არსებობა, რომლის შიგნითაც მოხდება აკადემიური პროგრამების შეთავაზება და მათი მხარდაჭერა;
- ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მნიშვენლოვანია გამჭვირვალება და გარე ექსპერტიზის გამოყენება;
- უმაღლესი განათლების ინსტიტუტებში წახალისებული უნდა იყოს ხარისხის კულტურა;
- პროცესები იმგვარად უნდა იყოს წარმართული, რომ უმაღლესი განათლების ინსტიტუტებს შეეძლოთ სახელმწიფო და კერძო ფინანსურ ინვესტიციებზე ანგარიშვალდებულების წარმოჩენა;
- ინსტიტუტებს უნდა შეეძლოთ მათი ხარისხის, როგორც ადგილობრივად, ისე საერთაშორისო დონეზე წარმოდგენა;
- პროცესებმა არ უნდა დათრგუნონ მრავალფეროვნება და ინოვაციები.

სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების დანიშნულება

სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების დანიშნულებაა:

- ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში სტუდენტთა განათლების გაუმჯობესება;
- დახმარების გაწევა უმაღლესი განათლების ინსტიტუტებისთვის მათი ხარისხის გასაუმჯობესებლად და ავტონომიურობის გასამყარებლად;
- ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებისთვის სამუშაო ფონის შექმნა;
- ხარისხის გარე უზრუნველყოფის ტრანსპარენტულობის და საყოველთაო მისაწვდომობის ხელშეწყობა.

სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების მიზნები და ამოცანები

სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების მიზნებია:

- უმაღლესი განათლების ინსტიტუტების წახალისება, რაც დააჩქარებს ინტელექტუალურ და საგანმანათლებლო მიღწევებს;
- დახმარებისა და რჩევების მიწოდება უმაღლესი განათლების ინსტიტუტებისათვის და სხვა შესაბამისი სააგენტოებისათვის, რომლებიც საკუთარი ხარისხის უზრუნველყოფის კულტურას ანვითარებენ;
- უმაღლესი განათლების ინსტიტუტების, სტუდენტების, დამსაქმებელთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირება უმაღლესი განათლების შედეგებსა და პროცესების შესახებ;
- ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში უმაღლესი განათლებისთვის და ხარისხის უზრუნველყოფისთვის საერთო კრიტერიუმებისა და სფეროების შეთავაზება.

ხარისხის გარე უზრუნველყოფა

ამ კრებულით წარმოდგენილი სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები მნიშვნელოვან როლს აკისრებს ხარისხის გარე უზრუნველყოფას. ეს როლი სხვადასხვაგვარია განსხვავებული სისტემების მიხედვით და შესაძლებელია მოიცვას სხვადასხვა ტიპის ინსტიტუციონალური შეფასებები; საგნების ან პროგრამების შეფასება; საგნების, პროგრამებისა და ინსტიტუციონალურ დონეზე აკრედიტაცია; ან მათი კომბინაცია. ასეთი გარე შეფასებები დიდადაა დამოკიდებული ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სტრატეგიის ეფექტურობაზე, ინსტიტუტების შიდა კონკრეტულ მიზნებზე და იმ მექანიზმებსა და მეთოდებზე, რომლებიც ამ მიზნების მისაღწევად გამოიყენება.

ხარისხის უზრუნველყოფა შესაძლოა ჩატარდეს გარე სააგენტოების მიერ სხვადასხვა დანიშნულებით, როგორიცაა:

- უმაღლესი ეროვნული აკადემიური სტანდარტების უსაფრთხოება და დაზღვევა;
- პროგრამების და /ან ინსტიტუტების აკრედიტაცია;
- მომხმარებელთა დაცვა;
- პროგრამებისა და ინსტიტუტების შესახებ საჯარო, დამოუკიდებელი და გადამოწმებული ინფორმაციის (როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი) მიწოდება;
- ხარისხის გაუმჯობესება და გაძლიერება.

ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების საქმიანობები ასახავენ იმ სამართლებრივ, სოციალურ და კულტურულ მოთხოვნებს, რომელთა იურისდიქციის ქვეშაც ეს სააგენტოები მოქმედებენ. ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ხარისხის უზრუნველყფასთან დაკავშირებული ევროპული სტანდარტები მოცემულია ამ თავის მე-3 ნაწილში.

ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების მიერ შესრულებული პროცესები დამოკიდებულია იმ ამოცანებსა და შედეგებზე, რომლის მიღწევასაც ისინი ისახავენ მიზნად. პროცედურები, რომლებსაც მიმართავენ ის სააგენტოები, რომლებიც ძირითადად ხარისხის გაძლიერებას ემსახურებიან, შესახლოა განსხვავებული იყოს მათგან, რომელთა უპირველესი ფუნქციაა 'მომხმარებელთა დაცვა'. სტანდარტები ასახავს ხარისხის გარე უზრუნველყოფის საუკეთესო გამოცდილებას ევროპაში, თუმცა არ თავაზობს დეტალურ ინსტრუქციას, თუ რა უნდა იყოს გამოკვლეული, ან, თუ როგორ უნდა იყოს ჩატარებული ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები. ყოველივე ეს ნაციონალური ავტონომიის საკითხია, თუმცა ინფორმაციის გაცვლა სააგენტოებსა და ხელისუფალთა შორის ინვევს ზემოთაღნიშნული მეთოდებისა და მექანიზმების დაახლოებას.

არსებობს ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცესის საუკეთესო გამოცდილების ზოგიერთი ზოგადი პრინციპი:

- ინსტიტუციონალური ავტონომიის პატივისცემა;
- ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცესში სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ინტერესების წინა პლანზე დაყენება;
- შეძლებისდაგვარად, საგენტოებმა უნდა ისარგებლონ ინსტიტუტების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის საქმიანობის შედეგებით.

სახელმძღვანელო პრინციპები თავაზობს დამატებით ინფორმაციას საუკეთესო გამოცდილების შესახებ, და

ზოგიერთი შემთხვევაში უფრო დეტალურად განმარტავს სტანდარტების შინაარსსა და მათ მნიშვნელობას. მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელო პრინციპები თავისთავად არ არის სტანდარტების შემადგენელი ნაწილი, სტანდარტები მათთან ერთობლიობაში უნდა იყოს გათვალისწინებული.

ნაწილი 1: ხარისხის შიდა უზრუნველყოფის ევროპული სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები უმაღლესი განათლების ინსტიტუტებში

1.1 ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგია და პროცედურები

სტანდარტი:

ინსტიტუტებს უნდა გააჩნდეთ სტრატეგია და შესაბამისი პროცედურები იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს მათი პროგრამების ხარისხი და სტანდარტები. მათ ასევე ვალდებულება უნდა აიღონ განავითარონ კულტურა, რომელიც აღიარებს ხარისხის და მისი უზრუნველყოფის მნიშვნელობას ინსტიტუტების მუშაობაში. ამის მისაღწევად, ინსტიტუტებმა უნდა შეიმუშავონ და განახორციელონ ხარისხის უწყვეტი გაძლიერების სტრატეგია.

სტრატეგიას, პოლიტიკას და პროცედურებს უნდა გააჩნდეთ ოფიციალური სტატუსი და უნდა იყოვნენ საჯარო. ისინი უნდა ითვალისწინებდნენ აგრეთვე სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობას.

სახელმძღვანელო პრინციპები:

ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები თავაზობს იმ ჩარჩოს, რომელშიც უმაღლესი განათლების ინსტიტუტები შეძლებენ შეიმუშაონ და მონიტორინგი განახორციელონ თავიანთი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემებზე. ისინი აგრეთვე დახმარებას უწევენ საზოგადოებრივი ნდობის ამაღლებას ავტონომიურ ინსტიტუტებში. პოლიტიკა შეიცავს განცხადებებს მიზნებისა და მათი მიღწევის ძირითადი საშუალებების შესახებ. პროცედურული ინსტრუქციები უფრო დეტალურ ინფორმაციას იძლევა იმ გზების შესახებ, რომელთა საშუალებითაც უნდა განხორციელდეს პოლიტიკა და ხელსაყრელ ათვლის წერტილს წარმოადგენს მისთვის, ვისაც სურს იცოდეს პროცედურების შესრულების პრაქტიკული ასპექტები.

სტრატეგიული განაცხადი უნდა მოიცავდეს შემდეგ ასპექტებს:

- სწავლებასა და სამეცნიერო კვლევებს შორის დამოკიდებულება ინსტიტუტებში;
- ინსტიტუტის სტრატეგია ხარისხთან და სტანდარტებთან მიმართებით;
- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მოწყობა;
- ინსტიტუტის განყოფილებების, სკოლების, ფაკულტეტების და სხვა სტრუქტურული ერთეულებისა და ინდივიდების მოვალეობა/პასუხისმგებლობა ხარისხის უზრუნველყოფაში;
- სტუდენტთა მონაწილეობა ხარისხის უზრუნველყოფაში;
- გზები და საშუალებები, რომლითაც სტრატეგია ხორციელდება, განხლდება და გაეწევა მონიტორინგი.

ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის რეალიზაცია უმთავრესად დამოკიდებულია ინსტიტუტის მიერ ყველა დონეზე აღებულ ვალდებულებაზე, რომ უზრუნველყოს პროგრამების გარკვეული და მკაფიო დაგეგმილი შედეგები; აგრეთვე უზრუნველყონ კადრების მზადყოფნა შეთავაზონ ისეთი სწავლება და მხარდაჭერა, რაც სტუდენტებს შედეგების მიღწევაში დაეხმარება. სრული, დროული და ხელშესახები უნდა იყოს იმათი წვლილის აღიარება, ვინც საქმისადმი განსაკუთრებულ წარმატებებს, ექსპერტიზასა და ერთგულებას წარმოაჩენს. უმაღლესი განათლების ყველა ინსტიტუტი უნდა იღწვოდეს იმისათვის, რომ გააუმჯობესოს და გააძლიეროს სტუდნეთთა განათლება.

1.2 პროგრამებისა და დიპლომების დამტკიცება, მონიტორინგი და პერიოდული შემოწმება

სტანდარტი:

ინსტიტუტებს უნდა გააჩნდეთ პროგრამებისა და დიპლომების დამტიკიცების, პერიოდული შემოწმებისა და მონიტორინგის ოფიციალური მექანიზმები.

სახელმძღვანელო პრინციპები:

უმაღლეს განათლებაში სტუდენტთა და დაინტერესებულ მხარეთა ნდობის მოპოვება უნდა დაეფუძნოს და შენარჩნულებული იქნას ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური ღონისძიებების საშუალებით, რომლებიც იძლევიან იმის გარანტიას, რომ პროგრამები კარგად იქნება შექმნილი, რეგულარულად მოხდება მათი მონიტორინგი და პერიოდული შემოწმება.
პროგრამებისა და დიპლომების ხარისხის უზრუნველყოფა მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- სწავლების დაგეგმილი შედეგების შემუშავება და გამოქვეყნება
- კურიკულუმებისა და პროგრამების შედგენისა და მათი შინაარსის მიმართ ყურადღებით მოპყრობა
- სხვადასხვა სახის მიწოდების სპეციფიკური საჭიროებანი (მაგ. სრული დრო, ნახევარი დრო, დისტანციური სწავლება, ელექტორნული სწავლება) და უმაღლესი განათლების ტიპები (მაგ. აკადემიური, პროფესიული, პროფესიულ-ტექნიკური);
- სასწავლო რესურსების მისაწვდომობა
- პროგრამების ოფიციალურად დამტკიცების პოცედურები იმ ორგანოს მიერ, რომელიც განსხვავდება იმისგან, ვინც ამ პროგრამით ასწავლის;
- სტუდენტების პროგრესისა და მიღწევების მონიტორინგი
- პროგრამების პერიოდული შემოწმება (გარეშე წევრების გუნდის ჩათვლით)
- დამსაქმებელთა, შრომის ბაზრის წარმომადგენელთა და სხვა ორგანიზაციების მხრიდან რეგულარული რეაგირება.

3.3 სტუდენტთა შეფასება

სტანდარტი:

სტუდენტები შეფასებულნი უნდა იყვნენ საჯაროდ გამოქვეყნებული კრიტერიუმების, წესებისა და პროცედურების შესაბამისად, რომლებიც უწყვეტად გამოიყენება.

სახელმძღვანელო პრინციპები:

სტუდენტთა შეფასება უმაღლესი განათლების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია. შეფასების შედეგებს დიდი გავლენა აქვთ სტუდენტთა მომავალ კარიერაზე. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ შეფასება ყოველთვის გაკეთდეს კვალიფიცირებულად. მან უნდა გაითვალისწინოს ის უზარმაზარი ცოდნა, რომელიც არსებობს ტესტირებისა და საგამოცდო პროცესების შესახებ. შეფასება, ინსტიტუტებს ასევე თავაზობს ღირებულ ინფორმაციას, თუ რამდენად ეფექტურია სწავლება.

სტუდენტის შეფასების პროცედურა უნდა ითვალისწინებდეს შემდეგს:

- შედგენილი უნდა იყოს იმგვარად, რომ გაიზომოს სწავლების დაგეგმილი შედეგებისა და პროგრამის სხვა მიზნების მიღწევა;
- უნდა გააჩნდეს ქულების მინიჭების მკაფიო და საჯარო კრიტერიუმები
- უნდა შესრულდეს იმ პირების მიერ, ვისაც ესმით შეფასების როლი სტუდენტების განვითარებისთვის კონკრეტული სპეციალობისთვის გამიზნული ცოდნისა და უნარ-ჩვევების მისაღწევად;
- სადაც შესაძლებელია, არ უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ ერთი გამომცდელის შეფასებას;
- უნდა ითვალისწინებდეს საგამოცდო წესების ყველა შესაძლო შედეგებს;
- უნდა გააჩნდეს მკაფიო წესები, რომლებიც სტუდენტების გაცდენას, ავადმოყოფობას ან სხვა საპატიო ვითარებას მოიცავს;
- დაზღვეული უნდა იყოს, რომ შეფასებები საიმედოდ და უსაფრთხოდ ტარდება ინსტიტუტის მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად;
- პროცედურული სიზუსტის უზრუნველყოფის მიზნით, შეფასება შესაძლოა გახდეს ადმინისტრაციული გადამოწმების საგანი

ამას გარდა, სტუდენტები გარკვევით უნდა იყვნენ ინფორმირებულნი მათი პროგრამის შეფასებისათვის გამოყენებული სტრატეგიის შესახებ, თუ რა გამოცდები და სხვა შეფასების მეთოდები ჩაუტარდებათ მათ, რა არის მოსალოდნელი ამ პროცედურებიდან, და ის კრიტერიუმები, რომლებიც გამოიყენებიან სტუდენტების ნამუშევრის შესაფასებლად.

1.4 სამასწავლებლო კადრების ხარისხის უზრუნველყოფა

სტანდარტი:

ინსტიტუტებს უნდა გააჩნდეთ საკუთარი სტრუქტურის კომპეტენტური და კვალიფიციური სამასწავლებლო კადრებით დაკმაყოფილების გზები. ეს კადრები ხელმისაწვდომი უნდა იყვნენ იმ გარე ექპერტებისათვის, რომლებიც გარე შემოწმებას ატარებენ, და რომელთა შესახებაც ექსპერტები შემოწმების კრებულში წარმოადგენენ შენიშვნებს.

სახელმძღვანელო პრინციპები:

მასწავლებლები არიან სტუდენტებისათვის სწავლების ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო. მნიშვნელოვანია, რომ მას, ვინც ასწავლის, ქონდეს სრული ცოდნა და გაგება იმ საგნისა, რომელსაც ის ასწავლის. აგრეთვე ქონდეს საჭირო უნარ-ჩვევები და გამოცდილება თავისი ცოდნის სტუდენტებისთვის ეფექტურად გადაცემისა. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ მასწავლებლებმა შეძლონ სტუდენტებისგან უკუ-რეაქციის მიღება მათ მიერ შესრულებულ ფუნქციებზე. ინსტიტუტებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კადრების აყვანა და დანიშვნის პროცედურები ითვალისწინებდეს იმ საშუალებებს, რომლითაც დადასტურდება, რომ ახლად აყვანილ კადრს გააჩნია, სულ ცოტა, მინიმალურად სავალდებულო კომპეტენცია.

სამასწავლებლო კადრებს საშუალება უნდა მიეცეთ განავითარონ და გააფართოვონ მათ მიერ სწავლების შესაძლებლობები. ინსტიტუტებმა სუსტ მასწავლებლებს უნდა მიცენ უნარ-ჩვევების სასურველ დონემდე გაუმჯობესების შესაძლებლობა, თუმცა, აგრეთვე უნდა გააჩნდეთ საშუალება ასეთი მასწავლებლების დათხოვნისა, თუკი ისინი აშკარად არაეფექტურად ახორციელებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას.

1.5 სასწავლო რესურსები და სტუდენტთა მხარდაჭერა

სტანდარტი:

ინსტიტუტებმა უნდა უზრუნველყონ სტუდენტების დამხმარე სასწავლო რესურსების ადეკვატურობა და მათი ცალკეულ შეთავაზებულ პროგრამასთან შესაბამისობა.

სახელმძღვანელო პრინციპები:

თავიანთი მასწავლებლების გარდა, სტუდენტებს უნდა ქონდეთ სხვა დამხმარე სასწავლო წყაროების იმედიც. ეს წყაროები სხვადასხვაა დაწყებული მატერიალური რესურსებიდან, როგორიცაა ბიბლიოთეკა ან კომპიუტერული მოწყობილობები, დამთავრებული — ხელმძღვანელის, მრჩეველების და სხვათა ადამიანური მხარდაჭერით. სასწავლო რესურსები და სხვა მხარდაჭერის მექანიზმები სტუდენტთა საჭიროების შესაბამისად უნდა იყოს შექმნილი და მათთვის ხელმისაწვდომი. ინსტიტუტებმა რუტინულად უნდა აწარმოონ მონიტორინგი, შემოწმება და გაუმჯობესონ სტუდენტებისთვის შეთავაზებული ხელშემწყობი მომსახურეობის ეფექტურობა.

1.6 საინფორმაციო სისტემები

სტანდარტი:

სასწავლო პროგრამებისა და სხვა საქმიანობების ეფეტურად მართვის მიზნით, ინსტიტუტებმა უნდა უზრუნველყონ შესაბამისი ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი და მათი გამოყენება.

სახელმძღვანელო პრინციპები:

ინსტიტუციონალური თვით-შემეცნება საწყისი წერტილია ხარისხის ეფექტური უზრუნველყოფისთვის. მნიშვნელოვანია, რომ ინსტიტუტებს ქონდეთ მათი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის საშუალებები. ამის გარეშე, მათ არ ეცოდინებთ თუ რა მუშაობს კარგად, რა საჭიროებს მეტ ყურადღებას, ან რა შედეგები მოიტანა ინოვაციური პრაქტიკის დანერგვამ.

თითოეული ინსტიტუტის მიერ მოთხოვნილი ხარისხთან დაკავშირებული საინფორმაციო სისტემები გარკვეულწილად დამოკიდებული არიან ადგილობრივ გარემოებებზე, თუმცა, სულ ცოტა, მათ მოეთხოვებათ მოიცვან ისეთი ასპექტები, როგორებიცაა:

- სტუდენტების პროგრესი და წარმატების კოეფიციენტი;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობა;
- სტუდენტების დაკმაყოფილება პროგრამებით;
- მასწავლებელთა მაღალი ქმედითუნარიანობა;
- სასწავლო რესურსები ინსტიტუტების ხარჯზე;
- საკუთრივ ინსტიტუტების ძირითადი მოღვაწეობის მაჩვენებლები.

არსებობს ინსტიტუტების ერთმანეთთან თვით-შედარების საშუალებაც, როგორც ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში, ასევე მის გარეთაც. ამგვარი შედარება საშუალებას იძლევა ინსტიტუტებმა გააფართოონ თვით-შემეცნების საზღვრები და მოიძიონ მათი მუშაობის გაუმჯობესების გზები.

1.7 საჯარო ინფორმაცია

სტანდარტი:

ინსტიტუტებმა რეგულარულად უნდა გამოაქვეყნონ განახლებული, მიუკერძოებელი და ობიექტური ინფორმაცია, როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივიც, მათ მიერ შეთავაზებული პროგრამებისა და დიპლომების შესახებ.

სახელმძღვანელო პრინციპები:

უმაღლესი განათლების ინსტიტუტების პასუხისმგებლობაა, მიაწოდონ ინფორმაცია თავიანთი პროგრამების, სწავლების დაგეგმილი შედეგების, კვალიფიკაციებისა და დიპლომების, სწავლების, სწავლისა და შეფასების გამოსაყენებელი პროცედურების, სტუდენტებისთვის სწავლის შესაძლებლობების შესახებ. საჯარო ინფორმაცია, შესაძლოა მოიცავდეს ყოფილი სტუდენტების დასაქმების რუქასა და ამჟამინდელი სტუდენტური პოპულაციის პროფილს. აღნიშნული ინფორმაცია უნდა იყოს ზუსტი, მიუკერძოებელი, ობიექტური და ადვილად წასაკითხი. ინსტიტუტი თავად უნდა ამოწმედებს, თუ რამდენად პასუხობს იგი მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის მოთხოვნებს.

ნაწილი 2: ევროპული სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები უმაღლესი განათლების ხარისხის გარე უზრუნველყოფისათვის

2.1 ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცედურების გამოყენება

სტანდარტი:

ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცედურები უნდა ითვალისწინებდეს ამ დოკუმენტის პირველ ნაწილში წარმოდგენილი ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესების ეფექტურობას.

სახელმძღვანელო პრინციპები:

პირველ ნაწილში აღწერილი ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სტანდარტები ხარისიხის გარე შეფასების პროცესისათვის მეტად ღირებულ საფუძველს წარმოადგენს. მნიშვნელოვანია, რომ გარე შეფასების პროცედურები ითვალისწინებდნენ ინსტიტუტების შიდა სტრატეგიის და პროცედურების გულდასმით შეფასებას, იმ მიზნით, რომ განისაზღვროს, თუ რამდენადაა სტანდარტები დაკმაყოფილებული.

თუ საგანმანათლებლო ინსტიტუტები შეძლებენ წარმოაჩინონ საკუთარი ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესები, და, თუ კი, ეს პროცესები მართლაც უზრუნველყოფენ ხარისხსა და სტანდარტებს, მაშინ შესაძლებელია ნაკლებად ინტენსიური იყოს გარე შეფასების პროცესები.

2.2 ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცესების შემუშავება

სტანდარტი:

ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის მიზნები და ამოცანები წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული თავად პროცესების განვითარებამდე პასუხისმგებელი სტრუქტურების მიერ (უმაღლესი განათლების ინსტიტუტების ჩათვლით) და საჯარო უნდა იყოს (გამოსაყენებელი პროცედურების აღწერის ჩათვლით).

სახელმძღვანელო პრინციპები:

იმისათვის რომ გარანტირებული იყოს მიზნისა და დანიშნულების გარკვეულობა და პროცედურების გამჭვირვალება, ხარისხის გარე უზრუნველყოფის მეთოდები შემუშავებული უნდა იყოს პროცესში დაინტერესებული მხარეების მიერ, უმაღლესი განათლების ინსტიტუტების ჩათვლით. საბოლოოდ შეთანხმებული პროცედურები გამოქვეყნებული უნდა იყოს და უნდა შეიცავდეს დეტალურად ჩამოყალიბებულ პროცესის მიზნებსა და ამოცანებს და აგრეთვე იმ პროცედურებს, რომლებიც უნდა იყოს გამოყენებული.

რადგანაც, ინსტიტუტებს ხარისხის გარე უზრუნველყოფა მოეთხოვებათ, წინასწარი ზეგავლენის შეფასება უნდა ჩატარდეს, რათა დაზღვეული იყოს უმაღლესი განათლების ინსტიტუტების ნორმალური მუშაობა

მიუღებელი და შეუფერებელი პროცედურებს წარმოებისაგან.

2.3 გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმები

სტანდარტი:

ხარისხის გარე უზრუნველყოფის საქმიანობის შედეგად მიღებული ნებისმიერი ოფიციალური გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს დეტალურად ჩამოყალიბებულ საჯარო კრიტერიუმებს, რომლებიც თანმიმდევრულად გამოიყენებიან.

სახელმძღვანელო პრინციპები:

ხარისხის გარე უზრუნველყოფის სააგენტოების მიერ მიღებულ ოფიციალურ გადაწყვეტილებებს დიდი გავლენა აქვთ მათ მიერ შემოწმებულ ინსტიტუტებსა და პროგრამებზე. სამართლიანობისა და სარწმუნოობის ინტერესებიდან გამომდინარე, გადაწყვეტილებები უნდა ეფუძნებოდეს გამოქვეყნებულ საჯარო კრიტერიუმებს და თანმიმდევრულად და შესაბამისი ფორმით უნდა მოხდეს მათი ინტერპრეტაცია. დასკვნები უნდა დაეფუძნოს მტკიცებულებებს და სააგენტოებმა ზომიერი გზები უნდა გამონახონ დასკვნების გასაკეთებლად.

2.4 მიზნის მისაღწევად გამოსადეგი პროცესები:

სტანდარტი:

ხარისხის გარე უზრუნველყოფის ყველა პროცესები უნდა შემუშავდეს იმგვარად, რომ უნზრუნველყოფილი იყოს მათი გამოყენება დასახული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად.

სახელმძღვანელო პრინციპები:

ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოები სხვადასვა მიზნებისთვის განსხვავებულ გარე პროცესებსა და გზებს მიმართავენ. უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია, რომ სააგენტოებმა შეიმუშაონ პროცედურები, რომლებიც გამოსადეგია საკუთარი წინასწარ-განსაზღვრული და გამოქვეყნებული მიზნებისათვის. თუმცა, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, არსებობს გარე შემოწმების პროცესის ფართედ გავრცელებული კომპონენტებიც, რომლებიც არა მხოლოდ ხელს უწყობენ პროცესების ვარგისიანობას, სარწმუნოობას და მათ საჭიროებას, არამედ, ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ განზომილებას უქმნიან საფუძველს.

ამ კომპონენტებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია:

- მოთხოვნა იმისა, რომ ექსპერტებს, რომლებიც ატარებენ ხარისხის გარე უზრუნველყოფის სამუშაოს, გააჩნდეთ სათანადო უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია დასახული ამოცანის შესასრულებლად;
- ექპერტების სიფრთხილით და ყურადღებით შერჩევა;
- ექპერტების ტრეინინგი ან მათთვის შესაბამისი ბრიფინგის ჩატარება;
- საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობა;
- სტუდენტების მონაწილეობა;
- გარანტია იმისა, რომ შემოწმებისთვის გამოყენებული პროცედურები საკმარისია შესაბამისი მტკიცებულებების წარმოსადგენად, რომლებიც თავის მხრივ დაეხმარება შედეგებისა და დასკვნების გაკეთებას;
- თვით-შეფასების/სამუშაო ადგილზე ვიზიტის/ანგარიშის პროექტის/გამოქვეყნებული ანგარიშის/შემოწმების შემდგომი მოდელის გამოყენება;
- ინსტიტუციონალური გაუმჯობესებისა და გაძლიერების პოლიტიკის, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის ფუნდამენტური კომპონენტის მნიშვნელობის გაცნობიერება.

2.5 ანგარიშგება

სტანდარტი:

ანგარიში უნდა იყოს გამოქვეყნებული და დაწერილი იმგვარ სტილში, რომელიც ნათელია და წასაკითხად მისაწვდომი მიზნობრივი მკითხველისათვის. ანგარიშებში წარმოდგენილი ყველა გადაწყვეტილება, ინსტრუქცია თუ რეკომენდაცია მკითხველისთვის ადვილად საპოვნი უნდა იყოს.

სახელმძღვანელო პრინციპები:

იმისათვის, რომ მაქსიმალური სარგებლის მიღება იყოს გარანტირებული ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცესებიდან, მნიშვენლოვანია, რომ ანგარიში ასახავდეს მიზნობრივი მკითხველის საჭიროებებს.

ანგარიშები ზოგჯერ სხვადასხვა ჯგუფის მკითხველთათვისაა გათვალისწინებული, რაც საგანგებო ყურადღებას მოითხოვს ანგარიშის სტრუქტურის, შინაარსის, სტილის და ტონის მიმართ.

ზოგადად, ანგარიშები უნდა იყოს სტრუქტურულად აგებული ისე, რომ მოიცვას აღწერა, ანალიზი, დასკვნები, მითითებები და რეკომენდაციები. წარმოდგენილი უნდა იყოს საკმარისი წინასწარი ახსნა-განმარტება, რომელიც მკითხველს საშუალებას მიცემს გაიგოს შემოწმების დანიშნულება, მისი ფორმა, გადაწყვეტილების მიღებისას გამოყენებული კრიტერიუმები, მთავარი მონაცემები და დასკვნები. მკითხველისთვის ადვილად მოსაძებნი უნდა იყოს აგრეთვე რეკომენდაციები.

ანგარიში გამოქვეყნებული უნდა იყოს მკითხველისთვის მისაწვდომი და გასაგები ფორმით. მკითველს უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა გააკეთოს კომენტარები იმის შესახებ, თუ რამდენად სასარგებლოა წარმოდგენილი ანგარიში.

2.6 მომდევნო ეტაპის პროცედურები:

სტანდარტი:

ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები, რომლებიც შეიცავენ შემდგომ ქმედებათა რეკომენდაციებს, ან სამოქმედო გეგმას, წინასწარ უნდა განსაზღვრავდნენ აგრეთვე ანგარიშის შემდგომ პროცედურებს, რომლებიც თანმიმდევრულად უნდა განხორციელდეს.

სახელმძღვანელო პრინციპები:

ხარისხის უზრუნველყოფა, ძირითადად, არ არის ინდივიდუალური საგამოცდო-მაკონტროლებელი მოვლენა: მისი დანიშნულებაა მუდმივი მცდელობა, რომ გაუმჯობესდეს მუშაობა. ხარისხის გარე შეფასება არ მთავრდება ანგარიშის გამოქვეყნებით, და უნდა მოიცავდეს შემდგომ სტრუქტურულ პროცედურებს, იმისათვის რომ უზრუნველყოფილი იყოს რეკომენდაციებისადმი შესაფერისი დამოკიდებულება, სამოქმედო გეგმის დასახვა და განხორციელება. ყოველივე ეს შესაძლოა მოითხოვდეს შემდგომ შეხვედრებს ინსტიტუტებისა და პროგრამების წარმომადგენლებთან. მთავარი მიზანია, რომ უზრუნველყოფილი იყოს იმ სფეროებისადმი სწრაფი და გაძლიერებული რეაგირება, რომლებიც გამოვლენილი და რეკომენდირებული იყო გასაუმჯობესებლად.

2.7 პერიოდული შემოწმება

სტანდარტი:

ინსტიტუტებისა და პროგრამების ხარისხის გარე უზრუნველყოფა უნდა ჩატარდეს ციკლიურად. ციკლის ხანგრძლიობა და შემოწმებისთვის გამოსაყენებული პროცედურები მკაფიოდ უნდა იყოს გასაზღვრული და წინასწარ გამოქვეყნებული.

სახელმძღვანელო პრინციპები:

ხარისხის შემოწმება დინამიური პროცესია და არა სტატიური. იგი უნდა იყოს უწყვეტი და არა "ერთხელ სიცოცხლის მანძილზე". იგი არ მთავრდება ერთი შემოწმებით, ან ერთი შემოწმების შემდგომი პროცედურების დასრულებით. იგი პერიოდულად უნდა განახლდეს. მომდევნო გარე შემოწმება უნდა ითვალისწინებდეს წინა შემოწმების შემდეგ მიღწეულ პროგრესს. გარე შემოწმების ყველა პროცესი გარკვევით უნდა იყოს განსაზღვრული ხარისხის გარე უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ და მათი ინსტიტუტებისადმი მოთხოვნა არ უნდა აღემატებოდეს იმას, რაც აუცილებელია მიზნებისა და ამოცანების მიღწევისთვის.

2.8 ფართე-სისტემური ანალიზი

სტანდარტი:

ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოები პერიოდულად უნდა აწარმოებდნენ შემაჯამებელ ანგარიშებს, რომლებიც ასახავენ და აანალიზებენ შემოწმების, შეფასებების ძირითად მონაცემებს და შედეგებს და ა.შ.

სახელმძღვანელო პრინციპები:

ხარისხის გარე უზრუნველყოფის ყველა სააგენტო აგორვებს ინფორმაციას ინდივიდუალურ პროგრამებისა და ინსტიტუტების შესახებ, რაც წარმოადგნეს მასალას მთელი უმაღლესი განათლების სისტემების სტრქტურული ანალიზისთვის. ასეთ ანალიზს შაუძლია მიაწოდოს ძალზედ სასარგებლო ინფორმაცია განვითარების, მიმართულებების, მოწინავე გამოცდილების, სირთულეებისა და სისუსტეების შესახებ და შეუძლია გახდეს სასარგებლო იარაღი საგანმანათლებლო პოლიტიკის განვითარებისა და ხარისხის გაძლიერებისათვის.

სააგენტოებმა თავიანთი მუშაობისას უნდა გაითვალისწინონ კვლევებისა და განვითარების ფუნქციები იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს მაქსიმალური სარგებლობის მიღება მათი მუშაობიდან.

მე-3 ნაწილის შესავალი: ევროპული სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ხარისხის გარე უზრუნველყოფის სააგენტოებისთვის

1990 წლიდან ევროპაში აღინიშნებოდა ხარისხის გარე უზრუნველყოფის სააგენტოების ზრდა. ამავდროულად, აღინიშნებოდა თანამშრომლობა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარება სააგენტოებს შორის, როგორც მათი განვითარების განუყოფელი კომპონენტი. 1994/95 წლებში ევროკომისიის მიერ ინიცირებული ე.წ ,ევროპული პილოტური პროექტები'-ს შედეგად სააგენტოებმა ხარისხის უზრუნველყოფის ძირითად მეთოდოლოგიად აღიარეს: სააგენტოების დამოუკიდებლობა, თვით-შეფასება, გარე სამუშაო ადგილის ვიზიტი და საჯარო ანგარიში, რომელიც 1998 წლის ევროპის საბჭოს რეკომენდაციებში იყო ფორმულირებული უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ. 2000 წელს ENQA-ს დაფუძნება ფაქტიურად შედეგი იყო თანამშრომლობის ამგვარი განვითარებისა.

ხარისხის გარე უზრუნველყოფის სააგენტოებისთვის შემუშავებული ევროპული სტანდარტები ევროპული ხარისხის გარე უზრუნველყოფის ისტორიიდან აღმოცენდნენ. უფრო მეტიც, გაცნობიერებულია იმის ამბიცია, რომ სტანდარტები არ იყოს არც ძალიან დეტალური და არც მკაცრად ინსტრუქციული ხასიათის. სტანდარტებმა არ უნდა შეზღუდონ ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული სააგენტოების თავისუფლება საკუთარ სტრუქტურაში და პროცესებში ასახონ საკუთარი ქვეყნებისა თუ რეგიონების გამოცდილება და მოლოდინები. სტანდარტებმა უნდა უზრუნველყონ სააგენტოების პროფესიონალიზმის, სანდოობის ინტეგრირება პროცესში დაინტერესებულ მხარეებთან.

დამატებით უნდა ითქვას, რომ სტანდარტები აგრეთვე ხელს უწყობენ იმ სამუშაოს, რომელიც ჩატარდა სააგენტოების მიერ ერთმანეთის აღიარების, შეფასებისა და აკრედიტაციისთვის. ამ სამუშაოს გზა გაუკვალა უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის ჩრდილოეთის ქსელმა (NOQA) და იგი არის აკრედიტაციის ევროპული კონსორციუმის (ECA) მიერ შემუშავებული 'საუკეთესო გამოცდილების კოდექსის' ნაწილი.

სხვადასხვა „სახელმძღვანელო პრინციპები" იქნა დამატებული, იმისათვის, რომ წარმოდგენილი ყოფილიყო დამატებითი ინფორმაცია საუკეთესო გამოცდილების შესახებ, და ზოგიერთ შემთხვევაში უფრო დეტალურად ყოფილიყო ახსნილი სტანდარტების შინაარსი და მათი მნიშვნელობა. მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელო პრინციპები არ არის სტანდარტების შემადგენელი ნაწილი, სტანდარტები მასთან კავშირში უნდა იყოს გათვალისწინებული.

ნაწილი 3: ევროპული სტანდარტები ხარისხის გარე უზრუნველყოფის სააგენტოებისთვის

3.1 უმაღლესი განათლებისთვის ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცედურების გამოყენება

სტანდარტი:

სააგენტოების ხარისხის გარე შემოწმებამ უნდა გაითვალისწინოს დოკუმენტის მე-2 ნაწილში აღწერილი ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცესების არსებობა და მათი ეფექტურობა.

სახელმძღვანელო პრინციპები:

მე-2 ნაწილში წარმოდგენილი ხარისხის გარე უზრუნველყოფის სტანდარტები ღირებულ საფუძველს წარმოადგენს ხარისხის გარე შეფასების პროცესისათვის. ეს სტანდარტები ასახავენ საუკეთესო პრაქტიკას და გამოცდილებას, რომელიც 1990 წლიდან განვითარდა ევროპაში. ამდენად მნიშვნელოვანია, რომ ეს სტანდარტები ინტეგრირებული იყოს ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების მიერ უმაღლესი განათლების ინსტიტუტების მიმართ გამოყენებულ პროცესებში.

ხარისხის გარე უზრუნველყოფის სტანდარტები ხარისხის გარე უზრუნველყოფის სააგნეტოების სტანდარტებთან ერთად უნდა ამზადებდნენ ნიადაგს უმაღლესი განათლების ინსტიტუტების ხარისხის პროფესიული და სარწმუნო გარე უზრუნველყოფისთვის.

3.2 ოფიციალური სტატუსი

სტანდარტი:

სააგნეტოები ოფიციალურად უნდა იყვნენ აღიარებულნი სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში, როგორც სააგენტოები, რომელთაც გააჩნიათ ხარისხის გარე უზრუნველყოფის ვალდებულება, და რომელთაც უნდა გააჩნდეთ სამართლებრივი საფუძველი. ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ ყველა იმ სამართლებრივ მოთხოვნას, რომლის იურისდიქციის საზღვრებშიც მოქმედებენ.

3.3 საქმიანობა

სტანდარტი:

სააგენტოები რეგულარულად უნდა ატარებდნენ ხარისხის გარე უზრუნველყოფის ღონისძიებებს (ინსტიტუციონალურ და პროგრამულ დონეზე)

სახელმძღვანელო პრინციპები:

სააგენტოს საქმიანობები შესაძლოა მოიცავდეს შეფასებას, შემოწმებას, აუდიტს, აკრედიტაციას ან სხვა მსგავს ღონისძიებებს და უნდა შეადგენდეს მისი ფუნქციების განუყოფელ ნაწილს.

3.4. რესურსები

სტანდარტი

სააგენტოებს უნდა გააჩნდეთ ადეკვატური და პროპორციული, როგორც ადამიანური, ასევე ფინანსური რესურსები, რიმლებიც საშუალებს მიცემთ ეფექტურად მართონ და განახორციელონ ხარისხის გარე უზრუნველყოფის ფუნქციები.

3.5. განაცხადი მისიის შესახებ

სააგენტოებს უნდა გააჩნდეთ მუშაობის ღია და გარკვეული მიზნები და ამოცანები, რომლებიც საჯარო ფორმით იქნებიან განცხადებულნი.

სახელმძღვანელო პრინციპები:

განაცხადი უნდა აღწერდეს სააგენტოს მიზნებსა და ამოცანებს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში; იგი უნდა ასახავდეს, აგრეთვე დავალებათა განაწილებას უმაღლესი განათლების შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს შორის, განსაკუთრებით უმაღლესი განათლების ინსტიტუტებისთვის და ამ ინსტიტუტების მუშაობის კულტურულ და ისტორიულ კონტექსტს. განაცხადი უნდა აზუსტებდეს, რომ ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცესი სააგენტოს ძირითადი ფუნქცია და საქმიანობაა, და რომ არსებობს სისტემატიური მიდგომა მისი მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად. უნდა არსებობდეს აგრეთვე დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებს, თუ როგორ აისახებიან ეს განაცხადები პოლიტიკისა და მენეჯმენტის გეგმაში.

3.6. დამოუკიდებლობა

სტანდარტი:

სააგენტოები უნდა იყვნენ დამოუკიდებელნი იმდენად, რამდენადაც ავტონომიური პასუხისმგებლობა გააჩნიათ თავიანთ მუშაობაზე, და რამდენადაც მათ მიერ გაკეთებულ დასკვნებსა და რეკომენდაციებზე არ აისახება მესამე მხარის, როგორიცაა უმაღლესი განათლების ინსტიტუტები, სამინისტროები ან სხვა დაინტერესებული მხარეები, გავლენა.

სახელმძღვანელო პრინციპები:

სააგენტომ უნდა შეძლოს მისი დამოუკიდებლობის დემონსტრირება შემდეგი საშუალებებით:

- მისი ფუნქციონალური დამოუკიდებლობა უმაღლესი განათლების ინსტიტუტებისა და მთავრობისაგან გარანტირებული უნდა იყოს ოფიცილაური სამართლებრივი დოკუმენტაციით (მაგ. მმართველობის ინსტრუმენტები, ან საკანონმდებლო აქტები).

- მისი პროცედურებისა და მეთოდების ფუნქციონირების განსაზღვრა, გარე ექსპერტების დასახელება და დანიშვნა, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების შედეგების დადგენა სრულდება ავტონომიურად და მთავრობისგან, უმაღლესი განათლების ინსტიტუტებისა და პოლიტიკური გავლენის მქონე ორგანოებისაგან დამოუკიდებლად.
- მიუხედავად იმისა, რომ ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცესში მიმდინარეობს კონსულტაციები შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან უმაღლეს განათლებაში, განსაკუთრებით სტუდენტებთან, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის საბოლოო შედეგების განსაზღვრა მხოლოდ სააგენტოს პრეროგატივაა.

3.7 ხარისხის გარე უზრუნველყოფის კრიტერიუმები და სააგენტოების მიერ გამოყენებული პროცედურები

სტანდარტი:

სააგენტოების მიერ გამოყენებული პროცესები, კრიტერიუმები და პროცედურები წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული და საჯარო. ეს პროცესები, როგორც წესი, უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის სუბიექტის მიერ თვით-შეფასების ან ექვივალენტური პროცედურა;
- გარე შეფასება ექსპერტთა ჯგუფის მიერ, რომელიც საჭიროების მიხედვით მოიცავს სტუდენტთა წარმომადგენელს, ან სამუშაო ადგილზე ვიზიტს სააგენტოს გადაწყვეტილების შესაბამისად;
- ანგარიშის გამოქვეყნება, რომელიც შეიცავს ყველა გადაწყვეტილებას, რეკომენდაციასა თუ სხვა შედეგებს.
- მომდევნო ეტაპის პროცედურები, რათა შემოწმდეს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის სუბიექტის მიერ განხორციელებული ქმედებები ანგარიშით წარმოდგენილ რეკომენდაციებთან მიმართებით.

სახელმძღვანელო პრინციპები:

სააგენტოებმა შესაძლოა კონკრეტული მიზნებისთვის შეიმუშაონ და გამოიყენონ სხვადასხვა სახის პროცესები და პროცედურები
სააგენტოებმა ყურადღება უნდა მიაქციონ მათ მიერ გაცხადებულ პრინციპებს, და უზრუნველყონ, რომ მათი მოთხოვნები და პროცესები პროფესიონალურად იყოს მართული, და თანმიმდევრული იყოს მათი დასკვნები და რეკომენდაციები, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილებები ფორმულირებული იქნება სხვადასხვა პიროვნებების მიერ დაკომპლექტებული ჯგუფების მიერ.

სააგენტოებს, რომლებიც იღებენ ხარისხის უზრუნველყოფის ოფიციალურ გადაწყვეტილებას, ან დასკვნებს, უნდა გააჩნდეთ სააპელაციო პროცედურები. აპელაციის პროცედურის ხასიათი და ფორმა განსაზღვრული უნდა იყოს თითოეული სააგენტოს წესდებით.

3.8. ანგარიშვალდებულების პროცედურა

სტანდარტი:

სააგენტოებს უნდა გააჩნდეთ საკუთარი ანგარიშვალდებულების პროცედურები.

სახელმძღვანელო პრინციპები:

ეს პროცედურები უნდა მოიცავდეს შემდეგს :

1. თავად სააგენტოს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა გამოქვეყნებული უნდა იყოს ვებ-გვერდზე;
2. დოკუმენტაცია უნდა ცხადყოფდეს, რომ :

    - სააგენტოს პროცესები და შედეგები ასახავენ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებს ;
    - სააგენტოს გარე ექსპერტებთან მუშაობისას გააჩნია ინტერესთა კონფლიქტისაგან თავისუფალი მექანიზმები;
    - სააგენტოს გააჩნია მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მისი სუბ-კონტრაქტორების მიერ წარმოებულ ნებისმიერი საქმიანობის ხარისხს;
    - სააგენტო მიმართავს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცედურებს, რომლებიც მოიცავენ შიდა უკუ-რეაგირების მიქანიზმებს (საკუთარი კადრების ან მმართველი საბჭოსაგან უკუ-რეაგირების შეგროვება); შიდა ასახვის მექანიზმები (გაუმჯობესების მიზნით რეაგირება შიდა და გარე რეკომენდაციებზე); და გარე უკუ-რეაგირების მექანიზმი (სამომავლო განვითარებისთვის საპასუხო რეაქციის მოგროვება ექსპერტებისაგან და შემოწმებული ინსტიტუტებიდან)

3. სააგენტოს საქმიანობის სავალდებულო ციკლიური გარე შემოწმება არანაკლებ ხუთ წელიწადში ერთხელ.

3. შემოწმების სისტემა ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებისთვის

ENQA-მ და მისმა პარტნიორებმა მიიღეს მინისტრების გამოწვევა და შეასრულეს დავალების ინტერპრეტაცია, რაც გულისხმობს, რომ სააგენტოების შემოწმების სისტემა უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ თავად შემოწმების პროცესს, არამედ შემოწმებისთვის დადგენილი სტანდარტების მეტი ყურადღებით გათვალისწინებას. შემდგომში შეთანხმდნენ, რომ სააგენტოების შემოწმება ძირითადად უნდა იყოს საშუალება, ინსტრუმენტი იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას უმთავრესი მიზანი — სააგენტოების ხარისხის გამჭვირვალება, თვალსაჩინოება და შედარებითობა.

ამდენად, წინამდებარე კრებულით შემოთავაზებულია უმთავრესი წინადადება — ევროპაში მოქმედი უმაღლესი განათლების ხარისხის გარე უზრუნველყოფის სააგენტოების რეესტრის შექმნა. აღნიშნული წინადადება არსებითად პასუხია იმ შედეგებზე, რაც გულისხმობს უახლოეს მომავალში ხარისხის უზრუნველყოფის ორგანიზაციების გაზრდას, რომლებსაც სარგებლობას მოუტანს აღიარებისა და აკრედიტაციის პროცესი. როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ძნელია აკონტროლო ამგვარი საწარმოები, მაგრამ ევროპას გააჩნია უნიკალური შესაძლებლობა დანერგოს ახალი ტიპის მენეჯმენტი ამ ახალ ბაზარზე, არა მხოლოდ იმიტომ, რომ დაიცვას უკვე არსებული სააგენტოების ინტერესები, არამედ იმიტომ, რომ არ მოხდეს ხარისხის უზრუნველყოფისგან მიღებული სარგებლობის დაკნინება ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში მოღვაწე დაბალი რეპუტაციის მქონე ორგანიზაციების საქმიანობისგან.

ამ წინადადებებზე მუშაობამ ძირითადად გაითვალისწინა ევროპული კონტექსტი და მისი მოთხოვნები. ამავდროულად, გაცნობიერებული იქნა, რომ მსგავსი პრაქტიკა და პროცესები საერთაშორისო დონეზეც ვითარდებოდა. ამდენად, წარმოდგენილი დოკუმენტის ეს თავი ეძღვნება საერთაშორისო გამოცდილებისა და ინიციატივების მოკლე ანალიზს, რომელიც კრებულის ამ კონკრეტული ნაწილის შემუშავებისთვისაა შესაფერისი. იგი შემდეგ გვთავაზობს შემოწმების სისტემას, რომელიც დახმარების პრინციპზეა აგებული, და ევროპულ სტანდარტებს ხარისხის გარე უზრუნველყოფის სააგენტოებისთვის. კრებულის ამ სტრუქტურას მივყავართ ევროპაში მოქმედი ხარისხის გარე უზრუნველყოფის სააგენტოების რეესტრის შექმნის პრეზენტაციასთან. რეესტრის შემადგენლობაში უმთავრესი როლი აკისრია შემოწმებებისა და სააგენტოების ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობას. და ბოლოს, წინამდებარე კრებულით შემოთავაზებულია უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული საკონსულტაციო ფორუმის დაფუძნება.

საერთაშორისო კონტექსტი

ევროპა არ გახლავთ ერთადაერთი სივრცე, სადაც დინამიურად ვითარდება უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სფერო. წარმოდგენილი ნაწილი აღწერს ამ სფეროში ისეთი ორგანიზაციების ზოგიერთ გავრცელებულ პრაქტიკას და ინიციატივებს, როგორებიცაა: უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოთა ქსელი (INQAAHE), უნივერსიტეტების რექტორთა საერთაშორისო ასოციაცია (IAUP), უმაღლესი განათლების აკრედიტაციის საბჭო აშშ-ში (CHEA), OECD და UNESCO. ამ კრებულის შექმნისას სასარგებლო აღმოჩნდა ჩამოთვლილი ორგანიზაციების მუშაობა ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო პრაქტიკა პირდაპირ არ იქნა ასახული კონკრეტულ რეკომენდაციებში, ზოგიერთი უმთავრესი საერთაშორისო კომპონენტი ქვემოთ წარმოდგენილია იმგვარად, რომ იგი უკავშირდება წინამდებარე თავით შემოთავაზებულ რეკომენდაციებს.

კარგი ხარისხისა და ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების საუკეთესო პრაქტიკის განსაზღვრა მრავალი წელი იდგა დღის წესრიგში საერთაშორისო დონეზე. 1999 წელს INQAAHE-მ განიხილა ხარისხის გარე უზრუნველყოფის სააგენტოებისთვის ხარისხის ეტიკეტის მინიჭების საკითხი, რაც თავდაპირველად IAUP-ის მიერ იყო ინიცირებული. ამ ინიციატივის მიზანი იყო უმაღლესი განათლების ინსტიტუტების საჭიროების დაკმაყოფილება, რაც გულისხმობდა კომპეტენტური სააგენტოების გამოვლენას, რომლებსაც შეეძლოთ ხარისხის გარე უზრუნველყოფის როლის შესრულება. ხარისხის ეტიკიეტის ცნების დანერგვას წინააღმდეგობა შეხვდა და ამის ნაცვლად, INQAAHE-მ შეთავაზა ჩამოეყალიბებინათ სააგენტოებისთვის საუკეთესო გამოცდილების კრიტერიუმები. ამის შედეგად შეიქმნა პრინციპების კრებული, რომელიც წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკის საზომ ერთეულს, მიუხედავად იმისა, რომ მასში გათვალისწინებულია სააგენტოების ინტერნაციონალური მრავალფეროვნება და მათი ისტორიულ-კულტურული კონტექსტი.

სააგენტოების შემოწმების რეკომენდაციებთან მიმართებით, შესაფერისი სამუშაო იქნა გაწეული CHEA-ს მიერ. CHEA არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს აშშ-ს რეგიონალურ, სპეციალიზირებულ, ეროვნულ და პროფესიონალური აკრედიტაციის სააგენტოებს. სააკრედიტაციო ორგანოებმა, რომლებსაც სურთ მოიპოვონ აღიარება CHEA-ს მიერ, უნდა წარმოაჩინონ, რომ ისინი აკმაყოფილებენ CHEA-ს მიერ ცნობის სტანდარტებს. აკრედიტირებულ ორგანიზაციებს მოეთხოვებათ აიმაღლონ აკადემიური ხარისხი, წაახალისონ გაუმჯობესების პროცესი, გამოიყენონ შესაფერისი პროცედურები, უწყვეტად გადააფასონ აკრედიტაციის პროცესებისა და პრაქტიკისთვის საკმარისი რესურსები. CHEA წევრებისგან მოითხოვს გაიარონ ე.წ ‘აღიარება-ცნობის შემოწმება’ 6 წელიწადში ერთხელ. არსებობს ძირეული მსგავსება და შეთავსებადობა CHEA-ს მიდგომებსა და წინამდებარე კრებულით წარმოდგენილ წინადადებებს შორის, მაგალითად, ციკლიურ შემოწმებასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, ეს კრებული პრიორიტეტს ანიჭებს და აშკარად კონცენტრირებულია საგენტოების ხარისხის უზრუნველყოფაზე.

ცალკე ინიციატივა იქნა შემუშავებული ერთობლივად OECD-ს და UNUNESCO-ს მიერ. მათ შეიმუშავეს ხარისხის შეთავაზების სახელმძღვანელო პრინციპები საზღვრის იქითა უმაღლეს განათლებაში. ეს პრინციპები საბოლოო სახეს მიიღებს 2005 წელს, თუმცა მისი შექმნის პროცესში გამოიკვეთა სხვაობა უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის დარეგულირების საჭიროებისა იმ ფაქტთან, რომ არსებული ეროვნული ხარისხის უზრუნველყოფა აქცენტირებულია მხოლოდ შიდა მიწოდებაზე შიდა ინსტიტუტების მიერ. ამდენად, არსებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემებისთვის ერთგვარი გამოწვევაა, რომ განავითარონ შესაფერისი მეთოდოლოგიები და მექანიზმები, რომლებიც ეროვნულ მომწოდებლებსა და პროგრამებთან ერთად მოიცავს უცხოელ მომწოდებლებს და ოცხოურ პროგრამებს იმ მიზნით, რომ მოხდეს სარგებლიანობის მაქსიმალიზაცია და შეიზღუდოს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციით მიღებული პოტენციური ზარალი.

OECD-UNESCO-ს სახელმძღვანელო პრინციპები ითვალისწინებენ, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებმა უზრუნველყონ, რომ მათი ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობა ითვალისწინებდეს უცხოურ და სარგებელზე ორიენტირებულ ინსტიტუტებს/მომწოდებლებს, და აგრეთვე დისტანციურ სწავლებას და განათლების მიწოდების სხვა არატრადიციულ მოდელებს. თუმცა, სახელმძღვანელო პრინციპების შექმნის პროცესი აცნობიერებს, რომ უცხოელი მომწოდებლების მონაწილეობა, ნაციონალური სააგენტოების დასუსტების თავიდან ასაცილებლად, უმრავლეს შემთხვევაში მოითხოვს ეროვნულ საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ცვლილებებს.

წინამდებარე კრებული აცნობიერებს უმაღლესი განათლების ინსტიტუტების ხარისხის უზრუნველყოფის ინტერნაციონალიზაციის მნიშვნელობას. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე არამიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ზემოთაღნიშნულის გათვალისწინება ხარისხის გარე უზრუნველყოფის ევროპულ სტანდარტებში, ევროპული რეესტრი მოიცავს როგორც ევროპის გარეთ არსებულ სააგენტოებს, რომლებიც ევროპაშიც მოღვაწეობენ, ასევე — ევროპულ სააგენტოებს, რომლებიც საზღვრის გადაღმაც მოღვაწეობენ.

გაცნობიერებული უნდა იყოს, რომ რომ უწყვეტი ევროპული პროცესი სრულად პასუხობს OECD-UNESCO-ს რეკომენდაციებს, რაც გულისხმობს, რომ სააგენტოებმა უნდა შეინარჩუნონ და გააძლიერონ არსებული რეგიონალური და საერთაშორისო ქსელები.

სააგენტოების ციკლიური შემოწმება

უმაღლესი განათლების ხარისხის გარე უზრუნველყოფის სფერო შედარებით ახალგაზრდაა ევროპაში. თუმცა, შეიმჩნევა მზარდი მზაობა იმ სააგენტოებს შორის, რომლებმაც დაადასტურეს თავიანთი ინტერესი სააგენტოს მუშაობის სანდოობის გაძლიერების მიმართ, რომელიც კონცენტრირებული იყო საკუთარი სააგენტოების ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფაზე. 2003 წელს ესპანეთში ჩატარებული ENQA-ს სამუშაო შეხვედრის თემატიკა მიეძღვნა სააგენტოების ხარისხის უზრუნველყოფას. მონაწილეებმა განიხილეს მოქმედი სააგენტოების გარე შეფასების მიმდინარე გამოცდილებანი და გამოიტანეს ერთი დასკვნა, რომელიც ENQA-ს რეკომენდაციას უწევს იმუშაოს მისი წევრი სააგენტოების ციკლიური გარე შემოწმების მიმართულებით. შესაბამისად, ENQA-მ მიიღო ბერლინის დავალება მაშინ, როცა იგი უკვე აწარმოებდა დისკუსიას სააგენტოების გარე კონტროლის შესახებ.

ეს კრებული რეკომენდაციას იძლევა, რომ ევროპულმა სააგენტომ არა უმეტეს 5 წლიანი ინტერვალისა ჩაატაროს ან თავად დაექვემდებაროს თავისი საქმიანობის ციკლიურ გარე შემოწმებას. შემოწმების შედეგები დოკუმენტურად უნდა აისახოს ანგარიშში, რომელიც განსაზღვრავს თუ რამდენადაა სააგენტო შესაბამისობაში ხარისხის გარე უზრუნველყოფის ევროპულ სტანდარტებთან (იხ. თავი 2, ნაწილი 3).

მნიშვნელოვანია, რომ ENQA-ს წევრების გარდა სხვა სტრუქტურებიც მოიაზრება სააგენტოების ხარისხის უზრუნველყოფისათვის. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ ევროპის გარეთ არსებულ სააგენტოებს შესაძლებლობა მიეცათ, სურვილისამებრ, გაზომონ და შეამოწმონ თავიანთი თავი შემოთავაზებულ ევროპულ სტანდარტებთან მიმართებით. ამდენად, ამ კრებულს არ სურს გაამახვილოს ყურადღება რეკომენდაციების შეთავაზებაზე ნაციონალურ დონეზე აღიარებული ევროპული სააგენტოებისთვის და შესაბამისად მხოლოდ ENQA-ს მოქმედ ან პოტენციურ წევრებზე. პირიქით, ევროპის გარეთ დაფუძნებულ, მაგრამ ევროპაში მოღვაწე სააგენტოებს, ან ევროპულ სააგენტოებს, რომლებიც ეროვნულ დონეზე არ არიან აღიარებულნი, აგრეთვე უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, რომ აირჩიონ ის შემოწმება, რომელიც შეაფასებს მათ შესაბამისობას ევროპულ სტანდარტებთან.

ციკლიური შემოწმების ძირითადი პრინციპები შემდეგნაირადაა შემოთავაზებული:

- ხარისხის გარე უზრუნველყოფის სააგენტოები, რომლებიც დაფუძნებული და ოფიციალურად აღიარებულნი არიან, ბოლონიის ხელმომწერი ქვეყნის მიერ, როგორც ეროვნული - ნაციონალური სააგენტოები. ისინი, როგორც წესი, უნდა შემოწმდნენ ნაციონალურ დონეზე, მიუხედავად იმისა მოღვაწეობენ თუ არა ეროვნული საზღვრების მიღმაც. ამ ევროპულმა ნაციონალურმა სააგენტოებმა,

მეორეს მხრივ, შიდა ნაციონალურ დონეზე შემოწმებას შესაძლებელია არჩიონ ENQA-ს მიერ ორგანიზებული შემოწმება. სააგენტოების შემოწმება უნდა მოიცავდეს შეფასებას, თუ რამდენადაა სააგენტო შესაბამისობაში ხარისხის გარე უზრუნველყოფის სააგენტოებისთვის დადგენილ ევროპულ სტანდარტებთან.

- იმ სააგენტოებს, რომლებიც არ არიან დაფუძნებულნი და ოფიციალურად აღიარებულნი ბოლონიის ხელმომწერი ქვეყნების მიერ, თავიანთი ინიციატივით შეუძლიათ გააკეთონ არჩევანი, რომ მათ ჩაუტარდეთ შემოწმება სააგენტოების ხარისხის გარე უზრუნველყოფის ევროპულ სტანდარტებთან მიმართებით.
- შემოწმება უნდა მოყვეს პროცესს, რომელიც მოიცავს თვით-შეფასებას, ექსპერტთა დამოუკიდებელ ჯგუფს და საჯარო ანგარიშს.

გარე შემოწმება, უმეტესწილად ინიცირებულია ნაციონალურ, ან სააგენტოს დონეზე. ამდენად, მოსალოდნელია, რომ სააგენტოების შემოწმება გამომდინარეობდეს ეროვნული წესებიდან ან ხარისხის შიდა უზრუნველოფის პროცესებიდან. ENQA იმ შემთხვევაში აიღებს სააგენტოს შემოწმების ინიციატივას, თუკი 5 წლიანი ინტერვალის გასვლის შემდეგ არავითარი შემდგომი ინიციატივა არ აღინიშნება ეროვნულ დონეზე ან თავად სააგენტოს მიერ. თუკი სააგენტო არ არის ENQA-ს წევრი, და 5 წლის შემდეგაც არავითარი ინიციატივა არ იქნა გამოხატული ეროვნულ დონეზე ან თავად სააგენტოს მიერ, მაშინ ევროპის სარეესტრო კომიტეტი ვალდებულებას იღებს შემოწმების ინიცირებაზე.

როდესაც, ეროვნული ხელისუფლებიდან მომდინარეობს შემოწმების ინიციატივა, ცხადია, რომ შემოწმების მიზანი საკმაოდ ფართეა და მოიცავს სააგენტოს მიერ ეროვნული დავალების შესრულებას. მიუხედავად ამისა, ამ კრებულის ბირთვს წარმოადგენს მოსაზრება, რომ შემოწმებამ, მიუხედავად იმისა არის ის ინიცირებული ეროვნულ, სააგენტოს თუ ENQA-ს დონეზე, ყოველთვის ზედმიწევნით უნდა გაითვალისწინოს სააგენტოს ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის ხარისხი. შესაბამისად, სააგენტოს შემოწმება ცხადყოფს არა მხოლოდ ევროპული შესაბამისობის ხარისხს, არამედ ამავდროულად მიუთითებს შესაბამისობის ხარისხზე ENQA-ს წევრობის კრიტერიუმებთან.

და ბოლოს, ეს კრებული ხაზს უსვამს იმ ასპექტს, რომ შესაფერისი ექსპერტიზისა და გამოცდილების მქონე საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობა მნიშვნელოვან სარგებლობას მოუტანს შემოწმების პროცესს.

ციკლიური შემოწმების შემდგომი საკითხები, უპირველეს ყოვლისა ეროვნული ხელისუფლების ან სააგენტოს მფლობელთა პასუხისმგებლობაა. შემოწმების შემდგომ ეტაპზე ENQA-ს როლი მხოლოდ ENQA-ს წევრი საგენტოების შემთხვევაში ეკისრება, როცა ENQA-მ უნდა დაამოწმოს მისი წევრი სააგენტოს ხარისხის გარე უზრუნველყოფის ევროპული სტანდარტების დაკმაყოფილების ხარისხი.

სააგენტოს გარე შემოწმების სანიმუშო პროცესი ასახულია ამ კრებულის დანართში.

ევროპაში მოქმედი ხარისხის გარე უზრუნველყოფის სააგენტოების რეესტრი

2003 წელს ბერლინში მინისტრთა შეხვედრამდე ENQA-მ დაივალდებულა თანამშრომლობა ხარისხის უზრუნველყოფის შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან, ევროპულ სააგენტოებთან, სახელმწიფო, კერძო და თემატური სააგენტოების ჩათვლით, რომლებიც ევროპაში მოქმედებენ.

რეესტრი უნდა აკმაყოფილებდეს უმაღლესი განათლების ინსტიტუტების და მთავრობის ინტერესს, რომ ევროპაში გამოვლინდეს კვალიფიციური და სანდო ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოები. ეს ინტერესი სათავეს იღებს იმ რთული სფეროდან, რომელსაც არა-ნაციონალური ხარისხების ცნობა-აღიარება ეწოდება. მეორეც, იზრდება შესაძლებლობა იმისა, რომ უმაღლესი განათლების ინსტიტუტებმა ხარისხის უზრუნველყოფა მოიძიონ სხვა ქვეყნების სააგენტოებიდანაც. რასაკვირველია, უმაღლეს სასწავლებლებს გაეწევათ დახმარება, რომ სარწმუნო რეესტრიდან მოიძიონ კვალიფიციური სააგენტოები.

ინსტიტუტებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის რეესტრში ყველაზე მეტად ღირებული იქნება მისი ინფორმატიულობა. რეესტრი თავად გახდება მეტად საჭირო ინტრუმენტი უმაღლესი განათლების ხარისხის გარე უზრუნველყოფის გამჭვირვალებისა და შედარებითობის მისაღწევად.

რეესტრმა უნდა ცხადყოს მისი წევრების შესაბამისობის ხარისხი ევროპულ სტანდარტებთან ხარისხის გარე უზრუნველყოფის სააგენტოებისათვის. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ ეს კრებული არ განიხილავს რეესტრს, როგორც კლასიფიკაციისა და დახარისხების ინსტრუმენტს.

რეესტრი ღია უნდა იყოს ყველა იმ სააგენტოსთვის, რომელიც ევროპას მოემსახურება, იმ სააგენტოების ჩათვლით, რომლებიც ევროპის გარეთ მოღვაწეობენ, ან მათთვის, რომლებიც საერთაშორისო ან ტრანს-ნაციონალური წარმოშობისაა. სააგენტოები განთავსდებიან რეესტრის სხვადასხვა სექციებში, იმისდა მიხედვით, აქვთ თუ არა მათ გავლილი შემოწმება, არიან თუ არა შესაბამისობაში ხარისხის გარე უზრუნველყოფის

სააგენტოს ევროპულ სტანდარტებთან და მუშაობენ მხოლოდ ნაციონალურ დონეზე, თუ საზღვრის მიღმაც.

ამრიგად, რეესტრის შესაძლო სტრუქტურაა:

სექცია 1. შემოწმებაგავლილი სააგენტოები, რომლებიც ორ კატეგორიად იყოფიან:

- ევროპული ნაციონალური სააგენტოები, რომლებმაც გაიარეს შემოწმება და აკმაყოფილებენ ხარისხის გარე უზრუნველყოფის სააგენტოსთვის დადგენილ ყველა ევროპულ სტანდარტს
- ევროპული ნაციონალური სააგენტოები, რომლებმაც გაიარეს შემოწმება, მაგრამ არ აკმაყოფილებენ ხარისხის გარე უზრუნველყოფის სააგენტოსთვის დადგენილ ყველა ევროპულ სტანდარტს
- არა-ნაციონალური და ევროპის გარეთ არსებული სააგენტოები, რომლებიც ევროპაში ფუნქციონირებენ, გაიარეს შემოწმება და აკმაყოფილებენ ხარისხის გარე უზრუნველყოფის სააგენტოსთვის დადგენილ ყველა ევროპულ სტანდარტს
- არა-ნაციონალური და ევროპის გარეთ არსებული სააგენტოები, რომლებიც ევროპაში ფუნქციონირებენ, გაიარეს შემოწმება და არ აკმაყოფილებენ ხარისხის გარე უზრუნველყოფის სააგენტოსთვის დადგენილ ყველა ევროპულ სტანდარტს

სექცია 2. ჯერაც შეუმოწმებელი სააგენტოები

- ევროპული ნაციონალური სააგენტოები, არა-ნაციონალური და ევროპის გარეთ არსებული სააგენტოები, რომელთაც ჯერ არ გაუვლიათ შემოწმება, და რომლებიც რეესტრში მოხვდნენ განაცხადში მითითებული ინფორმაციის საფუძველზე

ქვემორე ცხრილში ასახულია რეესტრის სტრუქტურა:

შემოთავაზებული რეესტრის სტრუქტურა		შემოწმებული სააგენტოები		შეუმოწმებელი სააგნეტოები
		შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან	შეუსაბამობა ევროპულ სტანდარტებთან	
ევროპული ნაციონალური სააგენტოები	ნაციონალური ოპერატორები			
საზღვრისიქითა ოპერატორები				
ევროპული არა-ნაციონალური სააგენტოები				
ევროპაში მოქმედი ევროპის გარეთ არსებული სააგენტოები				

ევროპის სარეესტრო კომიტეტი გადაწყვიტავს ევროპულ რეესტრში რეგისტრაციის საკითხს. სააგენტოს შესაბამისობას ხარისხის გარე უზრუნველყოფის სააგენტოსთვის დადგენილ ევროპულ სტანდარტებთან, როგორც ეს ციკლიური შემოწმებითაა განსაზღვრული, კომიტეტი განიხილავს, როგორც ერთ-ერთ კრიტერიუმს სააგენტოს რეესტრში რეგისტრაციისთვის. სხვა კრიტერიუმებიც უნდა შემუშავდეს, რომლებიც გაითვალისწინებენ უმაღლესი განათლების სისტემების განსხვავებულობას.

კომიტეტი იქნება ნაკლებად გადატვირთული, არა-ბიუროკრატიული სტრუქტურა, რომელშიც გაერთიანდება 9 წევრი დასახელებული EURASHE-ს, ESIB-ს, EUA-ს ENQA-ს და ევროპის დამსაქმებელთა ორგგანიზაციების, პროფესიული ორგანიზაციებისა და მთავრობის წარმომადგენლების მიერ. კომიტეტის წევრები იმუშავებენ

ინდივიდუალურად, და არა როგორც იმ შესაბამისი ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებმაც ეს წევრები დაასახელეს. ENQA-ს დაეკისრება სამდივნო ფუნქციები კომიტეტისთვის, რომლის შეხვედრებიც გაიმართება არანაკლებ ნახევარწლიანი ინტერვალით.

ევროპის სარეესტრო კომიტეტი, როგორც ერთ-ერთ პირველ შესასრულებელ ამოცანას, ოფიციალურად გააფორმებს საკუთრებას რეესტრზე.

მეორე გადაუდებელი ამოცანა ევროპის სარეესტრო კომიტეტისთვის უნდა იყოს დამოუკიდებელი და სანდო სააპელაციო სისტემის შექმნა, რათა დაზღვეულ იქნას იმ სააგენტოების უფლებები, რომლებსაც უარი ეთქმებათ, ან ვინც არ დათანხმდება მათთვის შერჩეულ ადგილს რეესტრში. სააპელაციო სისტემა უნდა იყოს პროტოკოლის ერთ-ერთი კომპონენტი, რომელსაც კომიტეტი შეიმუშავებს მაშინათვე, როგორც კი შეუდგება ფუნქციონირებას.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული საკონსულტაციო ფორუმი

2001 წლის პრაღის შეხვედრის შემდეგ 'E4 ჯგუფი', რომელშიც შედის ENQA, EUA, ESIB და EURASHE, რეგულარულად ხვდებიან ერთმანეთს ბოლონიისა და უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საკითხების განხილვის მიზნით. 2003 წლის ბერლინის შეხვედრის შემდეგ, 'E4 ჯგუფის' შეხვედრები ძირითადად კონცენტრირებული იყო უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფაზე, როგორც ეს მინისტრების მანდატით იყო გათვალისწინებული.

აღნიშნულმა თანამშრომლობამ დაამტკიცა, რომ იგი კონსტრუქციული იყო. ოთხი ორგანიზაცია შეთანხმდა, რომ უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული საკონსულტაციო ფორუმი გააგრძელებს არსებობას, რომელიც 'E4 ჯგუფზე' იქნება დაშენებული. ასეთი ფორუმი მუდმივად ითანამშრომლებს ENQA, EUA, EURASHE და ESIB-თან პრაქტიკულ საკითხებზე. ფორუმი უმთავრესად იქნება საკონსულტაციო და მრჩეველი ორგანო ევროპელი დაინტერესებული მხარეებისათვის, რომლის სტრუქტურული წყობაც მსგავსი იქნება იმ 4 შესაბამისი ორგანიზაციისა, რომლებიც ახალი ადმინისტრაციული სტრუქტურის შექმნის გარეშე, თავად აფინანსებენ საკუთარ ხარჯებს და მონაწილეობას. პერსპექტივაში ფორუმში გაერთიანდებიან, აგრეთვე, შრომის ბაზრის წარმომადგენლებიც.

4. პერსპექტივები და გამოწვევები

წინამდებარე კრებული მოიცავს წინადადებებს და რეკომენდაციებს, რომლებიც შემუშავდა და დამტკიცდა ევროპის წამყვანი ექსპერტების მიერ უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სივრცეში. თავად ამ კრებულის არსებობა დოკუმენტური მტკიცებულებაა იმისა, რომ მიღწეულ იქნა ურთიერთგაგება ისეთ სფეროში, რომელშიც თითქოს ნაკლებად სავარაუდო იყო, რაც თამაშის მონაწილეთა განსხვავებული ინტერესებით იყო განპირობებული. ამ კრებულში წარმოდგენილი წინადადებები სტუდენტებსა და ზოგადად საზოგადოებას მიაწვდის გამჭვირვალე და უსაფრთხო ინფორმაციას უმაღლესი განათლების შესახებ. ისინი თანაბრად სთავაზობენ უმაღლესი განათლების ინსტიტუტებს აღიარებასა და სანდოობას, და აგრეთვე იმის შესაძლებლობას, რომ ინსტიტუტებმა უკეთ წარმოაჩინონ თავიანთი თავდადება მაღალი ხარისხის მიმართ მზარდ კონკურენტუნარიან გარემოში. ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებისთვის წარმოდგენილი წინადადებები ხელს უწყობენ თავად სააგენტოების ხარისხისა და მათი სანდოობის გაძლიერებას, და მათ უფრო პროდუქტიულად აკავშირებთ უფრო ფართე, ევროპულ პროფესიულ სამეგობროსთან.

წინადადებები დარჩება წინადადებებად, თუ კი მათ თან არ მოყვება განხორციელების ეფექტური სტრატეგია. ბერგენში მინისტრების მიერ წინადადებების დამტკიცების შემდეგ, მყისვე განხორციელდა პირველივე ნაბიჯები ამ კრებულის უმთავრესი კომპონენტების დასანერგად. გათვალისწინებულია, რომ 2005 წლის ბოლოსთვის დაიწყოს ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების რეესტრის შექმნა, რომელიც მზად იქნება 2006 წელს. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ENQA-ს სამდივნომ დამატებითი რესურსები გამოყო. მინისტრების შეხვედრების შემდგომ, ENQA წარადგენს კონკრეტულ ინიციატივებს ევროპული სარეგისტრაციო კომიტეტის შესაქმნელად. კომიტეტი დაიწყებს მუშაობას რეესტრზე მესაკუთრეობის გაფორმებით და შეიმუშავებს პროტოკოლს, რომელიც დაეფუძნება ENQA-ს მიერ 2005 წლის გაზაფხულზე გაწეულ წინასწარ სამუშაოებს. პირველი ციკლიური შემოწმებები ნავარაუდევია განხორციელდეს 2005 წლის განმავლობაში.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული საკონსულტაციო ფორუმიც აგრეთვე ადრეული ინიციატივაა. ამგვარად, ბერგენის მინისტრთა შეხვედრების შედეგები და ფორუმის დაფუძნება 2005 წლის ივნისში ENQA-სა და ‘E4’ პარტიორებს შორის შეხვედრის ძირითადი თემა იქნება. ამასთან ერთად, დისკუსია შეეხება მომავალ თანამშრომლობას დაინტერესებულ მხარეებთან, როგორიცაა დასაქმების ბაზრის წარმომადგენლები. ENQA-მ აგრეთვე მოაწყო შეხვედრა სხვა ევროპულ ხარისხის უზრუნველყოფის ქსელურ ორგანიზაციებთან .

ამ კრებულში წარმოდგენილი ზოგიერთი წინადადების სწრაფი განხორციელების შესაძლებლობა არ უნდა იყოს გაგებული ისე, თითქოს ადვილი იყოს დანარჩენი წინადადებების დანერგვა. უფრო მეტი დრო იქნება საჭირო იმისათვის, რომ ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სტანდარტები გათავისებულ იქნეს ინსტიტუტებისა და სააგენტოების მიერ, რადგანაც სტანდარტების მიღებისათვის მზაობა დაკავშირებულია ინსტიტუტების სურვილზე და მონდომებაზე შეცვალონ და განავითარონ დღეგრძელი და ძლიერი უმაღლესი განათლების სისტემები. ის, რაც შემოთავაზებულია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სტანდარტებით, შესაძლოა ერთგვარი გამოწვევა იყოს ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებელისათვის, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც გააჩნია ახალი და განვითარებადი ხარისხის უზრუნველყოფის ტრადიცია, ან იქ, სადაც არ არის განსაზღვრული სტუდენტთა საჭიროებანი და დასაქმების ბაზარზე შეღწევის მზაობა. ამის მსგავსად, ხარისხის გარე უზრუნველყოფის და ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების სტანდარტებიც ყველა მონაწილესა, და განსაკუთრებით, საგენტოებისაგან მოითხოვენ, რომ ყურადღებით ჩაუკვირდნენ თავიანთ თავს და გაზომონ თავიანთი გამოცდილება ევროპულ მოთხოვნებთან მიმართებით. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ახალი ციკლიური შემოწმების პროცედურა.

ევროპის უმაღლესი განათლების ასოციაციის მუშაობა ეფუძნება ინდივიდუალურ ეროვნულ პასუხისმგებლობას უმაღლესი განათლებისათვის და მოიაზრებს ავტონომიურობას ხარისხის გარე უზრუნველყოფის საკითხებთან მიმართებით. ეს კრებული არ არის და არც შეიძლება იყოს მარეგულირებელი დოკუმენტი. ამავე დროს, კრებულის რეკომენდაციები და წინადადებები პროფესიონალებს შორის ურთიერთპატივისცემის სულისკვეთებითაა გამსჭვალული. ზოგიერთ ხელმომწერ ქვეყანას შესაძლოა სურდეს აღნიშნული სტანდარტების ეროვნული საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ჩარჩოებში მოქცევა, ზოგიერთი, კი, შესაძლოა უფრო შორს იხედებოდეს - თუ რამდენად მიზანშეწონილია ამის გაკეთება და შესაძლოა აწონ-დაწონოს ცვლილებების უპირატესობა ‘სტატუს ქვოს’ ძლიერ მხარესთან შედარებით. უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ფორუმი ის ადგილია, სადაც შესაძლოა განხილვა, დებატები, ახლებურად აზროვნების, სხვა სისტემების გამოცდილებების, ეროვნული გამოცდილებების მსგავსებისა და სხვაობის შესწავლა.

საბოლოოდ, ENQA-ს, მის ‘E4’ პარტნიორებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს ენიჭებათ მნიშვნელოვანი და გამომწვევი სამუშაო დატვირთვა მომავალი 2 წლის განმავლობაში. წინამდებარე კრებული ნათლად ასახავს,

რომ ამ კრებულის შედგენა არ არის იგივე, რაც ბოლონიის უმთავრესი მიზნის - ხარისხის უზრუნველყოფის განზომილება ევროპული უმაღლესი განთლების სივრცეში - მიღწევა. წინ უფრო მეტი სამუშაოა გასაწევი კრებულით წარმოდგენილი რეკომენდაციების განსახორციელებლად და სასურველი ხარისხის კულტურის დასაზღვევად, როგორც უმაღლეს სასწავლებლებში, ასევე ხარისხის გარე უზრუნველყოფის სააგენტოებში. იმას, რაც ბერლინის მანდატით იქნა განსაზღვრული, უწყვეტი მომსახურება ჭირდება, თუკი მან ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეს უნდა შეთავაზოს სრულად ფუნქციონირებადი ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული განზომილება.

ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის შექმნა ძლიერი, ავტონომიური და ეფექტური უმაღლესი განათლების ინსტიტუტებით, ხარისხისა და სტანდარტების მნიშვნელობის გაცნობიერებით, კარგი შემოწმებით, სარწმუნო ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებით, ეფექტური რეესტრით და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშომლობის გაძლიერებით ამჟამად შესაძლებელია და კრებულში წარმოდგენილი წინადადებები სწორედ იმ გზას გაივლიან, რომელიც ამ კონცეფციას რეალობად აქცევს.

ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ციკლიური შემოწმება[4] - თეორიული მოდელი

წარმოდგენილი მოდელი გახლავთ ხარისხის გარე უზრუნველყოფის სააგენტოს გარე შეფასების პროცესის ინდიკატიური მონახაზი. იგი გახლავთ ხარისხის უზრუნველყოფის გარე სააგენტოს ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის განსაზღვრის ნიმუში. მიუხედავად ამისა, გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ წარმოდგენილი მოდელის მიზანს წარმოადგენს მითითებებისა და განმარტებების მიწოდება. ამდენად, დეტალიზაციის ხარისხი უფრო მაღალია, ვიდრე სააგენტოთა ინდივიდუალური საექსპერტო შეფასებისთვისაა საჭირო. აღნიშნული გამომდინარეობს იმ მოსაზრებიდან, რომ ქვემორე აღწერილი პროცესი არავითარ შემთხვევაში არ უნდა განიხილებოდეს თავისთავად, როგორც სტანდარტი. უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ ნიმუშში ტერმინი "შეფასება" გამოიყენება, როგორც მიზნებისა და პროცესების ამსახველი. აგრეთვე შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ისეთი ტერმინები, როგორებიცაა "აკრედიტაცია" და "აუდიტი" .

პროცესი მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- შემოწმების ტექნიკური დავალებისა და პროტოკოლის განსაზღვრა;
- ეხპერტთა ჯგუფის დასახელება და დანიშვნა;
- სააგენტოს მიერ თვით-შეფასება;
- სამუშაო ადგილზე ვიზიტი;
- ანგარიშგება.

1. ტექნიკური დავალება

ტექნიკურმა დავალებამ უნდა განსაზღვროს თუ რა მიზანს ემსახურება შემოწმება ხელისუფალთა, მონაწილე მხარეთა და თავად სააგენტოს ინტერესებთან და პერსპექტივებთან მიმართებით. მასში უნდა იყოს ასახული სააგენტოს ყველა ძირითადი ამოცანა და საქმიანობა.

2. თვითშეფასება:

2.1. სააგანტოდან სიტუაციის ამსახველი ინფორმაციის მიღება, როგორც შემოწმების აუცილებელი წინაპირობა

შესაბამისი სიტუაციის ამსახველი ინფორმაციაა აუცილებელი იმისათვის, რომ გასაგები გახდეს თუ რა გარემო პირობებში მუშაობს სააგენტო. ეს ნაწილი მოიცავს შემდეგ ასპექტებს:

2.1.1 ეროვნული უმაღლესი განათლების სისტემის მოკლე მონახაზი

- ხარისხების სტრუქტურა;
- ინსტიტუციონალური სტრუქტურა;
- ახალი საგნების, პროგრამების და ინსტიტუტების შექმნის პროცედურები და მონაწილე მხარეები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სხვა პროცედურები;
- უმაღლეს სასწავლებელთა სტატუსი.

2.1.2 ცალკეული სააგენტოს და ზოგადად უმაღლესი განათლების შეფასების მოკლე ქრონოლოგია

- მიზნების შესახებ განაცხადი;
- სააგენტოს დაფუძნება (მთავრობა, უმაღლესი სასწავლებლები, სხვა);
- სააგენტოსთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩარჩოს და ნორმატივების (მაგ. პარლამენტის მიერ მიღებული კანონები, სამინისტროს ბრძანებულებები, განკარგულებები და სხვა) აღწერა;
- სააგენტოს დაფინანსება;
- განაცხადი შეფასების წარმოების უფლებაზე;

- სააგენტოს შიდა სტრუქტურები, რომლებიც მოიცავენ საბჭოს შემადგენლობის დანიშვნის პროცედურებს;
- უმაღლესი განათლების შეფასების გარდა სააგენტოს სხვა მოვალეობები;
- სააგენტოს საერთაშორისო საქმიანობა ოფიციალური ხელშეკრულებებისა და სხვა საქმიანობების ჩათვლით (მაგ. მონაწილეობა კონფერენციებში, სამუშაო ჯგუფებში, კადრების გაცვლა და ა.შ);
- სააგენტოს როლი შეფასების ჩატარების შემდგომ ეტაპზე: შედეგები და სანქციები.

2.2 სააგენტოს მიერ ჩატარებული ხარისხის გარე უზრუნველყოფა

უნდა არსებობდეს დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ასახავს სააგენტოს მიერ უმაღლეს სასწავლებელთა და პროგრამების გარე ხარისხის რეგულარულად უზრუნველყოფას. ამგვარი ხარისხის უზრუნველყოფა უნდა მოიცავდეს ან შეფასებას, აკრედიტაციას, შემოწმებას, ან აუდიტს .

რეგულარულ უზრუნველყოფაში იგულისხმება, რომ შეფასებები დაიგეგმა უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში სისტემატიური პროცედურების და ხარისხის შეფასების რამდენჯერმე ჩატარების საფუძველზე.

ამგვარი დოკუმენტი უნდა მოიცავდეს:

- სააგენტოს მეთოდოლოგიური ჩარჩოს აღწერას;
- ჩატარებული ხარისხის უზრუნველყოფის რაოდენობას და შეფასებული ერთეულების (სტრუქტურების) რიცხვს;

2.3 სააგნეტოს მიერ გამოყენებული შეფასების მეთოდი

2.3.1. პრეისტორია

იმისათვის რომ განისაზღვროს, თუ სააგენტო რამდენად მუშაობს გამჭვირვალე მეთოდოლოგიურ პროცედურებზე დაყრდნობით, საჭიროა შეფასებისა და სხვა ფუნდამენტური საკითხების სრულად დაგეგმვის აღრიცხვა, რომელიც მოიცავს:

- შეფასებულ ინსტიტუტებთან კომუნიკაციას და ბრიფინგს;
- სააგენტოს სტრატეგიას სტუდენტების მონაწილეობის შესახებ;
- ინდივიდუალური შეფასებებისათვის ტექნიკური დავალების/პროექტის გეგმის შექმნასთან დაკავშირებულ პროცედურებს;
- ასპექტებს, რომლებსაც ეყრდნობა შეფასება (წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმები, იურიდიული დოკუმენტები, პროფესიული სტანდარტები, შეფასებული ინსტიტუტების მიერ გაცხადებული მიზნები);

2.3.2 მეთოდოლოგიის კომპონენტები

დასაბუთებული უნდა იყოს, რომ სააგენტოს სამუშაო მეთოდოლოგია წინასწარ იყო განსაზღვრული და საჯარო, და ასევე, ისიც რომ, შემოწმების შედეგებიც საჯაროა.

მეთოდოლოგია მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- თვით-შეფასება ან მოცემული შესაფასებელი ობიექტის ექვივალენტური პროცედურები;
- ექსპერტთა ჯგუფის მიერ გარე შეფასება და სამუშაო ადგილზე ვიზიტი;
- ანგარიშის შედეგების გამოქვეყნება;

სააგენტომ აგრეთვე შესაძლებელია შეიმუშაოს და მიმართოს სხვა მეთოდოლოგიებსაც, რომლებიც სპეციალური დანიშნულებისთვის გამოიყენება.
სააგენტოს გადაწყვეტილებები და ანგარიშები პრინციპებსა და მოთხოვნებთან მიმართებით თანმიმდევრულია, მიუხედავად იმისა რომ შესაძლოა დასკვნებს სხვადასხვა ჯგუფები აყალიბებდნენ.

თუ სააგენტო იღებს შეფასების გადაწყვეტილებას, იქ არსებობს სააპელაციო გადაწყვეტილების სისტემაც. ეს მეთოდოლოგია გამოიყენება სააგენტოს მოთხოვნებისათვის.
თუ საგენტომ შეიმუშავებს რეკომენდაციებს და/ან პირობით რეზოლუციებს, მას უნდა გააჩნდეს შედეგების კონტროლის მომდევნო პროცედურებიც.

2.3.3 გარე ექსპერტთა ჯგუფის მონაწილეობა უნდა მოიცავდეს:

- ექსპერტების დასახელებისა და დანიშვნის პროცედურებს, საერთაშორისო ექსპერტების გამოყენების კრიტერიუმების ჩათვლით, და დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლებს, როგორებიც არიან დამქირავებელნი და სტუდენტები;
- ექსპერტთა ინფორმირებისა და ტრეინინგის მეთოდებს;
- ექსპერტებს შორის შეხვედრებს (რაოდენობა, სამუშაო გრაფიკი და ცხრილი) საყოველთაო შეფასების პროცედურებთან დაკავშირებით;
- შრომის განაწილებას სააგენტოსა და ექსპერტებს შორის;
- სააგენტოს კადრების როლს შეფასებებში;
- სააგენტოს იმ კადრების გამორკვევა და დანიშვნა, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან შეფასებაზე.

2.3.4 დოკუმენტაცია

იმისათვის რომ განისაზღვროს სააგენტოს მიერ თვით-შეფასების და სამუშაო ადგილზე ვიზიტის პროცედურები, საჭიროა სააგენტოს მიერ დოკუმენტაციის შეგროვების პროცედურების სხვადასხვა აღრიცხვები

2.3.4.1 თვით-შეფასების პროცედურების აღრიცხვა:

უნდა მოიცავდეს:

- სააგენტოს მიერ შემოთავაზებული სახელმძღვანელო პრინციპების შინაარსის დეტალურ აღწერას;
- სააგენტოს მიერ შემოთავაზებულ პროცედურულ რჩევებს;
- თვით-შეფასების გუნდების შექმნის მოთხოვნებს, სტუდენტთა როლის გათვალისწინებით;
- თვით-შეფასების გუნდის ტრეინინგს/ინფორმირებას;
- დროის შესაძლებლობას თვით-შეფასების ჩასატარებლად.

2.3.4.2 სამუშაო ადგილის ვიზიტის პროცედურების აღრიცხვა :

უნდა მოიცავდეს :

- კითხვარების/ინტერვიუს ჩატარების ოქმებს;
- მონაწილეთა შერჩევის პრინციპებს;
- ვიზიტის ხანგრძლიობის პრინციპებს;
- შეხვედრების რაოდენობას და მათ საშუალო ხანგრძლიობას;
- შეხვედრების დოკუმენტაციას (შიდა/გარე, ოქმები, და ა.შ);
- გარე ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო მეთოდებს .

2.3.4.3 ანგარიშები

დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას ანგარიშების შესახებ:

- ანგარიშის დანიშნულება;
- ანგარიშის მომზადება (სააგენტოს კადრების ან ექსპერტების მიერ);
- ანგარიშის ფორმატი (დიზაინი და მოცულობა);
- ანგარიშის შინაარსი (დოკუმენტაცია ან მხოლოდ ანალიზი/რეკომენდაციები);
- გამოქვეყნების პროცედურები და სტრატეგია;
- გადაუდებელი მომდევნო ეტაპის ღონისძიებები (სემინარები და კონფერენციები);
- მომდევნო გრძელ-ვადიანი ღონისძიებები (მაგ. მომდევნო შეფასება ან ვიზიტი).

2.3.5 აპელაციის მეთოდი

სააგენტო დოკუმენტურად აღწერს მისი გადაწყვეტილებების წინააღმდეგ აპელაციის მეთოდს, და, თუ რამდენად აკმაყოფილებს ეს მეთოდოლოგია სააგენტოს მოთხოვნებს. დოკუმენტაციიდან ცხადი უნდა იყოს, თუ რამდენად ეყრდნობა აპელაციის სისტემა განხილვის პროცესს, რომლის საშუალებითაც სააგენტოს შეუძლია შეფასების ობიექტებს შეთავაზოს შენიშვნების გაკეთებისა და შეფასების შედეგების კითხვის ქვეშ დაყენების საშუალებები.

ძირითადად, სააგენტომ უნდა დაასაბუთოს, რომ სააპელაციო სისტემა შემოწმებულ ორგანიზაციებს შესაძლებლობას აძლევს გამოხატონ თავიანთი მოსაზრება შეფასების შედეგების მიმართ.

2.4 დამატებითი დოკუმენტაცია

დამატებითი დოკუმენტაცია უნდა აღრიცხავდეს გამოკვლევებს, სტატისტიკურ მასალებს და სხვა სახის დოკუმენტაციას, რომელიც არ არის ნახსენები. ეს მასალა უნდა იყოს საჯარო.

2.5 ხარისხის სისტემების პროცედურები სააგენტოებისათვის

საგენტომ დოკუმენტურად უნდა დაასაბუთოს, რომ იყენებს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის იმ მექანიზმებს, რომლებიც შეესაბამება ხარისხის გარე უზრუნველყოფის სააგენტოებისათვის დადგენილ ევროპულ სტანდარტებს.

2.6 საბოლოო ასახვა

საჭიროა სააგენტოს ძლიერი, სუსტი მხარეების, მისი შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი, იმისათვის რომ გათვალისწინებული იყოს სააგენტოს პოტენცია მისი ახალ მოთხოვნებთან და მიმართულებებთან მორგებასთან დაკავშირებით, და რომ მუდმივად იყოს გაუმჯობესებული სააგენტოს საქმიანობები სოლიდური და სარწმუნო მეთოდოლოგიური ჩაროჩოსა და მმართველობის მოდელის მხარდაჭერით.

3. გარე შემოწმების ექსპერტთა ჯგუფის სახელმძღვანელო პრინციპები

ეს სახელმძღვანელო პრინციპები აღწერს თუ რა მოეთხოვება გარე შემოწმების საექსპერტო ჯგუფს. იგი მოიცავს შემდეგ ინსტრუქციებს:

- დანიშვნა და ზოგადი ორგანიზაცია;
- სამუშაო ადგილზე ვიზიტი;
- ანგარიშის მომზადება.

როგორც ეს ზემოთაა აღნიშნული, შემოწმებულმა სააგენტომ შემოთავაზებული სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად უნდა წარმოადგინოს თვით-შეფასების ანგარიში. თვით-შეფასების ანგარიში გარე შემოწმების ექსპერტთა ჯგუფს უნდა გაეგზავნოს დაგეგმილ ვიზიტამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე.

3.1 გარე შემოწმების ექსპერტთა ჯგუფის დანიშვნა

ეს ნაწილი ეხება იმ ექსპერტების დანიშვნას, რომლებმაც უნდა განახორციელონ შემოწმება.

გარე ექსპერტთა ჯგუფი უნდა შედგებოდეს შემდეგი ექსპერტებისაგან:

- ერთი ან ორი ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (საერთაშორისო);
- უმაღლესი განათლების ინსტიტუტების წარმომადგენელი (ეროვნული);
- სტუდენტი (ეროვნული);
- დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენელი (მაგ. დამქირავებელი — ადგილობრივი).

ერთ-ერთი ზემოთ აღნიშნული ექსპერტთაგანი არჩეული უნდა იყოს გარე შემოწმების ჯგუფის თავმჯდომარედ.

აგრეთვე რეკომენდირებულია, რომ ჯგუფი შეივსოს სააგენტოსაგან დამოუკიდებელი პირით, რომელიც სამდივნო საქმიანობას გაწევს ჯგუფში.

ექსპერტები შესაძლოა დასახელდნენ სააგენტოების, დაინტერესებულ მხარეთა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ, მაგრამ იმისათვის რომ უზრუნველყოფილი იქნას შემოწმების სანდოობა და სარწმუნოობა, მნიშვნელოვანია, რომ ექსპერტთა დანიშვნა მიენდოს სააგენტოს გარეშე მესამე მხარეს. ეს

მესამე მხარე შესაძლებელია იყოს ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელი, ან ის სააგენტო, რომელიც არ მონაწილეობს კონკრეტული შემოწმების პროცესში. ექსპერტების ცნობის საფუძველს წარმოადგენს მათ მიერ დამოუკიდებლობის დეკლარირება. მიუხედავად ამისა, იმ სააგენტოს, რომელიც შემოწმებას გადის, უნდა ქონდეს ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო შემადგენლობაზე შენიშვნების გაკეთების საშუალება.

3.2 სამუშაო ადგილზე ვიზიტი

სამუშაო ადგილზე ვიზიტისათვის საგანგებო პროტოკოლი უნდა შემუშავდეს:
სასურველია ვიზიტი იყოს 2-3 დღიანი, მოსამზადებელი და მომდევნო ეტაპის ღონისძიებებს მოიცავდეს.

ვიზიტამდე 1 დღით ადრე ჯგუფის წევრები ერთმანეთს უნდა შეხვდნენ და შეთანხმდნენ ვიზიტის შესაბამის საკითხებზე და თემებზე. ინტერვიუს ჩატარების ინსტრუქციები უნდა მომზადდეს პერსპექტივის გათვალისწინებით.

ვიზიტმა შესაძლოა მოიცვას ცალკეული შეხვედრები როგორც სააგენტოს მმართველი საბჭოს წევრებთან, ხელმძღვანელობასთან, კადრებთან, ექსპერტებთან, დაინტერესებულ მხარეებთან, ასევე შიდა, თვით-შეფასების კომიტეტების წევრებთან.

3.3 შემოწმების ანგარიშის მომზადება

ზოგადი ტექნიკური დავალების შესრულების გარდა, ანგარიში საკმაო სიზუსტით უნდა იყოს კონცენტრირებული ხარისხის გარე უზრუნველყოფის სააგენტოების ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაზე.

ვიზიტის შემდეგ გარე შემოწმების ექსპერტთა ჯგუფი მდივნის დახმარებით მოამზადებს ანგარიშს, რომლის საბოლოო ვერსიაც შემოწმებულ სააგენტოს უნდა გაეგზავნოს ფაქტობრივ ცდომილებებზე კომენტარების გასაკეთებლად.

Education and Culture

Tempus

DG Education and Culture

This project been funded with support from the European Commission in the framework of the Socrates programme. This publication reflects the views only of the author, and the commission cannot be held responsible for any use which may be made of the information contained therein.

© European Association for Quality Assurance in Higher Education, 2005, Helsinki